

# ხობის მოამბე

№4 (7017) 8 მარტი, შაბათი, 2014 წელი.
ფასი 70 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

## გაზაფხულის დღესასწაულებს გილოცავთ, ძვირფასო ქალებო!

გაზაფხული ერთ-ერთი უმშვენიერესი დროა. მარტის დადგომას ქალბატონები დიდი სიხარულით ელოდებიან.

1991 წლიდან საქართველოში 3 მარტს დედის დღე აღინიშნება. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ ეს დღე ქალთა საერთაშორისო დღეს – 8 მარტს შეცვლიდა, თუმცა ორივე დღესასწაული დღემდე აღინიშნება.

ძვირფასო ქალბატონებო, გილოცავთ გაზაფხულის დღესასწაულებს, სიხარული, სითბო, სიყვარული და ბედნიერება არ მოგკლებოდეთ, შვილთა სიმრავლეს და წარმატებებს გისურვებთ ერისა და ქვეყნის სასიკეთოდ.

მამუკა ქარდავა,
ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

სიმბოლურია, რომ ქალთა დღესასწაულები გაზაფხულზე აღინიშნება. ქალიც და გაზაფხულიც სიცოცხლის საწყისი, უჩვეულო სილამაზე და მომავლის იმედია.

ბედნიერი ვარ, მომეცა საშუალება, კიდევ ერთხელ მოვეფერო მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა ქალს, მუხლი მოვიყარო ზოგადად დედის, კერძოდ, მრავალშვილიანი დედების წინაშე. ემრავლოს მათი რიცხვი სრულიად საქართველოს.

ქედს ვიხრი სამშობლოსათვის შვილშეწირული დედების წინაშე. მეამაყება, რომ მეც ასეთი დედის შვილი ვარ.

მინდა ყველა ქალს, დედას ვუსურვო მათ შვილებს უღრუბლო ზეცა ჰფარავდეს. ამიერიდან სიყვარული, სითბო, ქალური ბედნიერება ავსებდეს მათ ყოველდღიურ ცხოვრებას, უფალი ფარავდეს თითოეულ ოჯახს.

გოჩა ქაჯაია,
ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი

## 7 მარტს ჟიული შარტავას დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდა

„ბოლომდე ვიბრძოლებთ, ვიდრე შეგვიძლია და თუ სიკვდილი გვიწერია, არც ეს უნდა იყოს დიდი ტრაგედია - ისეთი ბიჭები იხოცებიან, ძნელია ამის შემყურემ სიცოცხლეზე იფიქრო. რას იზამ, ბედისწერას ვერ გაექცევი..."

*ჟიული შარტავა.*



### საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა საქართველოს ეროვნული გმირის საფლავი ყვავილებით შეამკო



„დღეს ჩვენ შევიკრიბეთ, რომ გავიხსენოთ საქართველოს ეროვნული გმირი, ჟიული შარტავა, კაცი, რომელმაც მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება თავის სამშობლოს მიუძღვნა და სიცოცხლეც უყოყმანოდ გასწირა მისთვის.

ჟიული შარტავა 1993 წლის 27 სექტემბერს მხეცურად მოკლეს. ეს დღე უმძიმესია საქართველოს უახლეს ისტორიაში. ამ დღეს დაეცა სოხუმი. ამ ომს 15 ათასამდე ქართველის სიცოცხლე შეეწირა. ეს იყო ჩვენი დროის უმძიმესი ძმათამკვლელი ომი. ამ ომმა გახლიჩა ქართველებისა და აფხაზების მრავალსაუკუნოვანი ძმობა. ამ ომში გამარჯვებული არ არსებობს... ამ ომს შეეწირა ჟიული შარტავა.

პატივს მივაგებ საქართველოს ეროვნული გმირის, ჟიული შარტავას ხსოვნას. ქართველი ხალხი არასოდეს დაივიწყებს მის სახელს, ჟიული შარტავა ყოველთვის იქნება სამშობლოსთვის თავგანწირვისა და გმირობის დიდი მაგალითი მომავალი თაობებისათვის,"-განაცხადა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა.

## მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა

27 თებერვალს ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართა, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა უძღვებოდა.

სხდომას ესწრებოდნენ საკრებულოს, გამგეობის და ადგილობრივი თვითმმართველობის სამსახურების ხელმძღვანელი პირები.

დღის წესრიგის დამტკიცების შემდეგ, სხდომაზე პირველ საკითხად განხილულ იქნა „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 30 დეკემბრის №21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" დადგენილების პროექტი, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარემ მ. ქარდავამ წარმოადგინა.

სხდომაზე მეორე საკითხად კენჭი ეყარა „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ" დადგენილების პროექტს.

ადგილობრივ ბიუჯეტში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად ცვლილებები განხორციელდა „ხობის მუნიციპალიტეტის 2014 წლის ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 23 იანვრის №1 განკარგულებაში.

სხდომაზე საკრებულოს თავმჯდომარეს მიეცა თანხმობა ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების საკუთრებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე.

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების თანახმად, კომისიას დაემატა ორი წევრი. დეპუტატებმა ერთხმად მიიღეს „ხობის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" და „ხობის მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი და ეკონომიურად შეჭირვებული მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებისა და ხელშეწყობის მუნიციპალური პროგრამის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტები. სხდომაზე მოსმენილ იქნა და შეფასდა საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების მიერ 2013 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშები.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

## მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" რიგით მეორე კონფერენცია

2014 წლის 26 თებერვალს მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს" რიგით მეორე კონფერენცია ჩატარდა. კონფერენციაზე დამტკიცდა დღის წესრიგი. საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ბ-ნ ვარაზ გაბედავამ, წარადგინა წლიური ანგარიში, შეაფასა განვლილი პერიოდი და დაისახა მომავლის გეგმები. კონფერენციაზე სტუმრად იმყოფებოდნენ: მპგ „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"-ს პოლიტიკური საბჭოს წევრი, საქართველოს პარლამენტის წევრი ქ-ნი **ეკა ბესელია** და რეგიონის კოორდინატორი ბ-ნი **გაიოზ მონიავა**. კონფერენციაზე არჩეულ იქნა ხობის საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარე და ბიუროს წევრები.

საოლქო ორგანიზაციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბ-ნი **ვარაზ გაბედავა**, ბიუროს წევრებად კი: **ედიშერ ჯობავა, დოდო ბერაია, ქეთევან ოდიშარია, ლევან ქავთარაძე, გოჩა ქაჯაია.**

კონფერენციაზე ასევე სიტყვით გამოვიდნენ ბ-ნი ედიშერ ჯობავა და ქ-ნი ეკა ბესელია. საბოლოოდ დაისახა მომავლის გეგმები და მზადყოფნა გამოითქვა მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის.

დაიჯესტი

# ირაკლი ღარიბაშვილი აშშ-ში ვიზიტის დეტალებზე საუბრობს



პრემიერი ვიზიტს უპრეცედენტოდ წარმატებულს უწოდებს და აღნიშნავს, რომ ის საქართველოს მიმართ ამერიკის მხარდაჭერის კიდევ ერთი დადასტურება იყო.

„ამერიკის ვიზიტი იყო მართლაც უპრეცედენტოდ წარმატებული, მე ძალიან კმაყოფილი ვარ და ჩვენი გუნდიც. ვფიქრობ, რომ ეს ვიზიტი იყო კიდევ ერთი დადასტურება, რომ ამერიკის მთავრობა მხარს უჭერს საქართველოს ხელისუფლებას და საქართველოს ზოგადად. რაც შეეხება ობამასთან შეხვედრას, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ იგეგმებოდა ობამასთან შეხვედრა, ასეთი შეხვედრა სპონტანურად არ ხდება, მაგრამ ჩვენ არ გვსურდა წინასწარ საუბარი, ვინაიდან იყო დეტალების დაზუსტების პროცესი და ჩვენ გადავწყვიტეთ, რომ არ იყო საჭირო წინასწარ დეტალების გამჟღავნება. შეხვედრებზე იყო მეგობრული და თბილი გარემო, დიდი კომფორტი იყო ჩემთვის მათთან საუბარი. შეხვედრაზე ჩვენ მიმოვიხილეთ მთელი რიგი საკითხები. ასევე, მიმოვიხილეთ უკრაინის კრიზისი, გვქონდა საუბარი დიალოგის გაღრმავებაზე. მათი განწყობა არის აბსოლუტურად პოზიტიური. ამერიკული მხარე, ასევე, ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავს საქართველოს ახალი ხელისუფლების წარმატებებს. პირველი ის, რომ მოხდა მშვიდ ვითარებაში საპრეზიდენტო არჩევნების ჩატარება, ასევე, ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას უპრეცედენტოდ აფასებენ“, - განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა „საზოგადოებრივი მაუწყებლის“" ეთერში.

# „ევროპასთან უვიზო მიმოსვლის საკითხზე არ მინდა მოლოდინები გავაჩინო, მაგრამ ეს არაა შორი პერსპექტივა“

საქართველოს პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ვიზის ლიბერალიზაციამდე სხვადასხვა ეტაპებია გასავლელი და ამ პროცესში ვალდებულებები როგორც საქართველოს, ასევე ევროკავშირის წევრ ქვეყნებსაც გააჩნიათ.

„ჩვენ უნდა მოვემზადოთ მომავალი, რიგის სამიტისთვის, სადაც ასევე ადეკვატურად იქნება შეფასებული საქართველოს მიერ მიღწეული შედეგები და ეს მხოლოდ ვიზის ლიბერალიზაციის გეგმას არ ეხება. ჩვენ მთელი რიგი რეფორმები უნდა განვახორციელოთ და ამას ჩვენ ვაკეთებთ ისე, რომ არავითარი დაბრკოლება, არავითარი ბარიერი ჩვენ არ გვაქვს. რამდენად ახლო ან შორეული პერსპექტივაა, ისევ არ მინდა კონკრეტული ვადები დავასახელო და კონკრეტული მოლოდინი გავაჩინო საზოგადოებაში, მაგრამ ეს არც თუ ისე შორეული პერსპექტივაა. მე მქონდა შეხვედრა შტეფან ფულესთან და გვქონდა პირდაპირი და გულახდილი საუბარი. ბევრი რამე ჩვენზეა დამოკიდებული, ბევრი რამე ევროკავშირზეც, რომ ამ პროცესის დაჩქარება მათგანაც მოხდეს. მათგან გვაქვს ჩვენ დადასტურება იმისა, რომ ისინი მხარს დაუჭერენ საქართველოსთან უვიზო რეჟიმის ამოქმედებას მაქსიმალურად მოკლე ვადებში. ეს შეიძლება მოხდეს 2 წელში, შეიძლება, მანამდე და შეიძლება უფრო გვიანაც. ასე რომ, მანამდე საქართველოში პროცესები უნდა განვითარდეს და გავაგრძელოთ და ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული რეფორმები“,–განაცხადა ირაკლი ღარიბაშვილმა „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ მიცემულ ინტერვიუში.

# შრომითი კანონმდებლობის შესრულების გაუმჯობესებისთვის სამწლიანი პროექტი იწყება



პროექტს, რომლის პრეზენტაცია „შერატონ მეტეხი პალასში“ მიმდინარეობს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს.

ღონისძიებას მთავრობის წარმომადგენლები, პროფკავშირის წევრები და ამერიკელი სპეციალისტები ესწრებიან.

როგორც იუსტიციის მინისტრის მოადგილე ალექსანდრე ბარამიძე აცხადებს, პროექტს რამდენიმე მიზანი აქვს, მათ შორის, შრომის სამართალში მოსამართლეთა ტრენინგი, შრომის ინსპექციასთან დაკავშირებული საკითხები და სხვა.

„ჩვენ მივესალმებით ამ პროექტის დაწყებას. იცით, რომ იუსტიციის სამინისტრო აქტიურად იყო ჩაბმული შრომის კოდექსის რეფორმირებაში, რაც საბოლოო ჯამში, დასრულდა იმით, რომ პარლამენტმა მიიღო რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება შრომის კანონმდებლობაში. ვნახოთ, კიდევ რისი გაკეთება შეიძლება საკანონმდებლო წესით“, - განაცხადა ბარამიძემ.

თავის მხრივ, ჯანდაცვის მინისტრი დავით სერგეენკო აღნიშნავს, რომ რეკომენდაციები, რომლებიც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციისგან მიიღეს, აუცილებლად შესრულდება.

„ეს არის კიდევ ერთი დიდი ნაბიჯი ევროინტეგრაციასთან და იმ მთავარ გამოწვევასთან, რაც არის დღეს ქვეყანაში - სამუშაო ადგილების დეფიციტი და სამუშაო პირობების უსაფრთხოების ნაკლები დაცვა“, - განაცხადა დავით სერგეენკომ.

# „ეს არის პროვოკაცია და მინდა, ვუთხრა რუსეთის მაღალი თანამდებობის პირებს, რომ ჩვენ ამას არ ავყვებით“



საქართველოს პრეზიდენტის განცხადებით, რუსეთმა აღნიშნული ქმედებით არამხოლოდ საქართველოს საჰაერო სივრცე დაარღვია, არამედ ის საერთაშორისო ხელშეკრულებები, რა ფორმითაც საქართველო რუსეთთან ურთიერთობს.

მისივე თქმით, ახლა უნდა ვიყოთ ძალიან ფრთხილად, რათა პროვოკაციას არ წამოვეგოთ.

„ეს არის სუვერენული ქვეყნის საჰაერო სივრცის დარღვევა. ასევე, ეს არის დარღვევა იმ საერთაშორისო ხელშეკრულებების და შეთანხმებების, რომლის ფორმითაც ჩვენ რუსეთის ფედერაციასთან ვმუშაობთ. ეს არ არის მხოლოდ ჩვენი საჰაერო სივრცის დარღვევა, არამედ ეს არის კონტროლირებადი საჰ აერო სივრცის დარღვევა. რთული ვითარებაა რეგიონში და ჩვენ უაღრესად ფრთხილად უნდა ვიყოთ, რომ პროვოკაციას არ წამოვეგოთ. მათ ნაბიჯებს კოორდინებული მუშაობით ვპასუხობთ და თვალყურს ვადევნებთ, როგორ ვითარდება მოვლენები რეგიონში და ჩვენს ქვეყანაში. ხაზგასმით მინდა, აღვნიშნო, რომ ეს არის პროვოკაცია და მინდა ვუთხრა რუსეთის მაღალი თანამდებობის პირებს, რომ ჩვენ ამ პროვოკაციას არ ავყვებით“, - განაცხადა მარგველაშვილმა.

შეგახსენებთ, რომ რუსულმა ვერტმფრენმა გუშინ საქართველოს საჰაერო სივრცე რამდენჯერმე დაარღვია.

# „მე დღეს ვარ ამაყი, რომ ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი“



მის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ დღეს უკრაინის რეზოლუციის მიღებასთან დაკავშირებით მსჯელობისას საპარლამენტო სესიაზე გაანცხადა.

„დღეს ჩემთვის ერთ-ერთი მძიმე დღეა ამ პარლამენტის კედლებში და მე ვერ ვარ ამაყი, რომ ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი. წარმოიდგინეთ, რომ გვისმენდა რიგითი უკრაინელი, რომელსაც ვეუბნებით, რომ იცით, ორი და სამი დღეა ვმუშაობთ იმაზე, რომ მივიღოთ რაღაც გადაწყვეტილება, რომლითაც თქვენ, უკრაინელებო, დაგეხმარებით და მერე ისმენს ამ ყველაფერს, მემგონი არ სჭირდება ამ ყველაფერს ბევრი ფიქრი თუ რა ხასიათზე დადგებოდა ნებისმიერი მოქალაქე, რომელიც ამას უყურებდა“, - განაცხადა უსუფაშვილმა.

# ევროკავშირის წევრი ქვეყნების წარმომადგენლებმა საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიები მოინახულეს

შსს-ს წარმომადგენლებმა დიპლომატებს ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნილ ვითარებებზე სრული ინფორმაცია მიაწოდეს.

საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, საგარეო საქმეთა სამინისტროს და ასევე, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს წარმომადგენლებმა ევროკავშირის წევრი ქვეყნების აღმოსავლეთ პარტნიორობის საკითხებში სპეციალურ წარმომადგენლებს - ვაიდოტას ვერბას (ლიტვა), მარტინ ჰაგსტრომს (შვედეთი), სერგ სმესოვს (საფრანგეთი) და რუსო რაზვანს (რუმინეთი) ქარელის რაიონის სოფელ დვანში, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიებზე არსებული სიტუაცია გააცნეს. ვიზიტის ფარგლებში, დიპლომატებს საშუალება მიეცათ რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ უკანონოდ დამონტაჟებული მავთულხლართები, ღობეები ადგილზე ენახათ და ხელოვნური ბარიერების შედეგად შექმნილი პრობლემების შესახებ დვანის მოსახლეობისგან პირადად მოესმინათ.

# ჩვენს მუნიციპალიტეტში

## სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ახალი ეტაპი დაიწყო

საქართველოში სოფლის მხარდაჭერის 50–მილიონიანი პროგრამის ახალი ეტაპი დაიწყო. მოსახლეობის ჩართულობის, სოფლის პრიორიტეტების განსაზღვრისა და შესაბამისი პროექტების შერჩევის მიზნით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები ბადრი ჯობავა, მახარე ჩოკორაია და გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი ავთანდილ სართანია, პირველი მაისის თემის, სოფელ ბულიწყუსა და საჯიჯაოს თემის, სოფელ ზენის მოსახლეობას შეხვდნენ. პრიორიტეტულ პროექტებად დასახელდა საძოვრის გამიჯვნა საყანე ფართობებიდან, სასაფლაოს შემოკავება, ხიდ-ბოგირების შეკეთება და გზის მოხრეშვა.


ბურიფულის თემი


ბურიფულის თემი


საჯიჯაოს თემი

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული თანხა გამოყენებული უნდა იყოს სოფლის პირველი რიგის სოციალურ-ეკონომიკური საჭიროებების დასაფინანსებლად. კერძოდ, ადგილობრივი ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაციისთვის (მაგ. ხიდის აღდგენა, სოფლის გზის შეკეთება, მოსახლეობის სასმელი წყლით მომარაგების სისტემის შეკეთება, სარწყავი არხების რეაბილიტაცია, ნაპირსამაგრი თუ სანიაღვრე არხების გამწმენდი სამუშაოების ჩატარება და ა.შ.),სოფლის კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარებისთვის (მაგ. სოფლის წყაროს მოწყობა, მოსახლეობის თავშეყრის ადგილის მოწყობა, სოფლის სტადიონის შეკეთება, სოფლის კლუბის მოწყობა და ა.შ.). აღნიშნული პროგრამა მეხუთე წელია ხორციელდება. სოფლის კრებების ჩატარების თარიღები უკვე დადგენილია. ყველა სოფელში გამოკრულია საინფორმაციო ფურცელი, თუ კონკრეტულად როდის ტარდება სოფლის კრება.



4 მარტს სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა სოფელ ქარიატაში, პირველ ხორგაში, პატარა ფოთსა და ყულევში. ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილეები ბადრი ჯობავა და მახარე ჩოკორაია, მუნიციპალიტეტის სოფლის რწმუნებულებთან ერთად მოსახლეობას შეხვდნენ. ადგილობრივებმა ისაუბრეს სოფლის პრობლემებზე და თვითონ ჩამოაყალიბეს შემდეგი პრიორიტეტები: სანიაღვრე არხების ამოწმენდა, ნაპირსამაგრი სამუშაოები, ამბულატორიის სარემონტო სამუშაოები, სტადიონის კეთილმოწყობა, კლუბის რეაბილიტაცია და წყლის მილების გამოცვლა, რის მოგვარებასაც სოფელი მიმდინარე წელს ითხოვს.


საჯიჯაოს თემი

მოსახლეობასთან მსგავსი სახის შეხვედრები გრძელდება.

## დევნილი ოჯახებისთვის აპლიკაციების შევსება გრძელდება

საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო

5 მარტს ხობის მუნიციპალიტეტში საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს წარმომადგენელმა ხობის გამგეობის შესაბამის სამსახურის თანამშრომლებთან ერთად 23 იძულებით გაადადგილებულ ავადმყოფ და უნარშეზღუდულ პირს აპლიკაციები შეავსებინეს ქ.ფოთში დევნილებისთვის გარემონტებულ შენობებში ბინების მიღების თაობაზე, რის შედეგადაც მოხდება დევნილი ოჯახებისთვის სარეიტინგო ქულების მინიჭება და შესაბამისი ფართით დაკმაყოფილება. სხვა დევნილმა ოჯახებმა აპლიკაციის შესავსებად უნდა მიმართონ ქ.ზუგდიდში და ქ.ფოთში ვეტერანთა, ლტოლვილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა განყოფლებას.

ქ.ზუგდიდში ფართის მიღების მსურველებმა აპლიკაციის შესავსებად მაისიდან უნდა მიმართონ შესაბამის სამსახურებს.

## „ერთად გადავარჩინოთ მომავალი“

### ჭალადიდელ გიგაშვილების ოჯახს სახლის გასაღები გადასცეს



ქ.თბილისში 3 მარტს, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრში საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდმა "იავნანამ" საქველმოქმედო აქცია-კონცერტი გამართა. საღამოზე შემოსული შემოწირულობა სრულად მოხმარდა მზრუნველობამოკლებულ და ობოლ პატარებს.

აქციას „ერთად გადავარჩინოთ მომავალი“ მრავალი ბიზნესმენი თუ მეცენატი უდგას მხარში. მათ შორის ამ ფონდის აქტიური წევრი, ერთგული მეგობარი და მეცენატი გოდერძი ბუკია. მისი ინიციატივით შვილებმა, ნათია და ლაკო ბუკიებმა ხობის მუნიციპალიტეტის ჭალადიდის თემში მცხოვრებ გიგაშვილების ექვს შვილიან ოჯახს ახალი სახლის გასაღები გადასცეს. ბიზნესმენისგან ეს ფონდისთვის შეძენილი მესამე სახლია, რომელიც სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის საიმედო თავშესაფრი გახდა.

## ხობელ ჭაბუკ მოჭიდავეთა წარმატებული საერთაშორისო ტურნირი თბილისში







ქ. თბილისში ჩატარდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ვლადიმერ მაისურაძის ხსოვნის დღისადმი მიძღვნილი საერთაშორისო ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის, სადაც მონაწილეობდნენ აზერბაიჯანის, სასომხეთის, თურქეთისა და საქართველოს ნაკრები გუნდების 276 მოჭიდავე.

ტურნირში წარმატებით იასპარეზეს განათლების ცენტრის სასპორტო სკოლის ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ჯგუფის მოსწავლეებმა (მწვრთნელ-მასწავლებლები: მამუკა ყორშია, ბაკურ ბუკია, სურაჯ გვასალია, ალმასხან ხუნჯუა).

46 კგ. წონით კატეგორიაში 4 მოგებით I ადგილის მფლობელი გახდა ნუგზარ წურწუმია;

3-3 მოგებით III საპრიზო ადგილები გაინაწილეს 50 კგ. წონით კატეგორიაში ნიკა ყორშიამ და 54 კგ. წონით კატეგორიაში ჯონი ხეცურიანმა;

სპეციალისტების მოწონება დაიმსახურეს IV ადგილებზე გასულმა თემურ გოგოხიამ და გოგა პერტახიამ.

ორგანიზატორებმა პრიზიორები დააჯილდოვეს შესაბამისი ხარისხის მედლებით, დიპლომებითა და თასებით.

ვულოცავთ გამარჯვებას ხობელ მოჭიდავეებს!

## ინტერვიუ



***როგორც ცნობილია გაზიფიცირება მთელი საქართველოს მასშტაბით 2015 წელს უნდა დამთავრდეს. გამონაკლისი არც ჩვენი მუნიციპალიტეტი იქნება. ხობის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები დაინტერესებულები არიან უახლოეს მომავალში დაიქსელოს ქალაქის მიმდებარე სოფლები.***

***ქალაქ ხობში მესამე წელია ფუნქციონირებს შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია–გაზი–სამეგრელოს“ ხობის სერვისცენტრი, რომელსაც სათავეში უდგას ალექსანდრე ბუკია. სერვისცენტრის ძირითადი მოვალეობაა მოსახლეობის გაზიფიცირება და შემდგომი ექსპლოატაცია–შიდა ქსელები სახლში და ქსელების მონტაჟია.***

***როგორ მუშაობს აღნიშნული სერვისცენტრი, რა არის მათი ძირითადი მიზან-ამოცანები, თავად ხობის სერვისცენტრის ტექნიკური მენეჯერი ბატონი ალექსანდრე ბუკია გვესაუბრება.***

***ცნობისათვის:***

*ალექსანდრე ბუკია დაიბადა სოფელ ხეთაში, მოსამსახურის ოჯახში. დედა –ნელი ფაღავა პედაგოგია, მამა–გენო ბუკია ინჟინერი. ჰყავს ერთი და.*

*1979 წელს დაამთავრა ხეთის საშუალო სკოლა, 1985 წელს თბილისის ტექნიკური უნივერსიტეტი, საიდანაც განაწილებით სენაკის გაზის ტრესტში დაიწყო მუშაობა. შემდგომ შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი–სამეგრელოს“ ცენტრალურ ოფისში მუშაობდა. 2012 წლიდან კი ხობის სერვისცენტრის ტექნიკური მენეჯერია.*

*ჰყავს მეუღლე გურანდა წოწონავა–მუშაობს ხეთის უბნის ექიმად და ორი ქალიშვილი ელენე და მარიამი–ხეთის საჯარო სკოლის მოსწავლეები.*

# „შემდგომ ეტაპზე მთელი მუნიციპალიტეტი დაიქსელება“

***ბატონო ალექსანდრე, გვიამბეთ თქვენი სამსახურის ძირითად ფუნქციებსა და მიმართულებებზე?***

–შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი–სამეგრელოს“ ხობის სერვისცენტრის ძირითადი საქმიანობა მოსახლეობის ეზოსა და სახლში გაზის ქსელის პროექტირება, მონტაჟი და შემდგომი ექსპლოატაცია (მოსახლეობის უზრუნველყოფა ბუნებრივი გაზით) გახლავთ.

***თქვენი სამსახური ვის კომპეტენციაში შედის და სად არის მისი ადგილსამყოფელი?***

–სამსახური, სადაც მე ვმუშაობ და მისი მენეჯერი ვარ ხობში, ექვემდებარება შ.პ.ს. „სოკარ ჯორჯია გაზი–სამეგრელოს“, რომლის ცენტრალური ოფისი ქალაქ ზუგდიდში მდებარეობს.

***თქვენი სერვისცენტრის მომსახურება მხოლოდ ხობში ვრცელდება თუ?..***

–ჩვენი სამსახური მხოლოდ ხობის მუნიციპალიტეტით შემოიფარგლება.

***რას გვეტყოდით თქვენს მიერ შესრულებულ სამუშაოებზე, რა ტერიტორია მოიცვა, რამდენი ოჯახი სარგებლობს უკვე თქვენი სიკეთით?***

–ქალაქი ხობი სრულად დაქსელილია. გაზსადენის მაგისტრალის სიგრძე 49, 743 კილომეტრია. ქალაქში სულ 2481 პოტენციური აბონენტია. დღეის მდგომარეობით გაზიფიცირებულია 560 აბონენტი.

***ბატონო ალექსანდრე, როგორია ხალხის განწყობა თქვენს მიმართ?***

–ჩვენს მიმართ საყვედური და გულისწყრომა არავის გამოუხატავს. ე.ი. ცუდი განწყობით არავინ არის, რადგანაც მაქსიმალურად ვითვალისწინებთ მათ მოთხოვნებს და მათთვის საინტერესო და აუცილებელ საკითხებზე რჩევებს ვაძლევთ.

***ხალხის ინტერესის სფერო ამჟერად განვადებებია. როგორ ხდება გაზის დამონტაჟების პროცესზე განვადება?***

–ახალი საყოფაცხოვრებო მომხმარებელი ვალდებულია გადაიხადოს გამანაწილებელ ქსელზე მიერთების საფასური (დღგ-ს ჩათვლით). საცხოვრებელი სადგომის ერთ წერტილში ბუნებრივი გაზის მიღების შემდეგ მისი არჩევანითა და ქვემოთ მოცემული პირობებით: ა) ფაქტობრივი ხარჯთაღრიცხვის მიხედვით, არაუმეტეს 600 ლარისა ერთჯერადად. ბ) განწილვადებული 24 თვის განმავლობაში ყოველთვიურად 25 ლარის ოდენობით, შესაბამისად, მიმდინარე წლის პირველი თებერვლიდან მომხმარებლის მიერ ასანაზღაურებელი თანხა დგინდება შემდეგნაირად: ა) თუ მომხმარებელი ირჩევს საფასურის ერთჯერადად გადახდას და არა განვადებას–ლიცენზიანტის მიერ მისთვის გაწეული მომსახურების საფასური იქნება ხარჯთაღრიცხვით გამოთვლილი თანხა. თუ იგი 600 ლარზე ნაკლებია, ან 600 ლარი–თუ ხარჯთაღრიცხვის თანხა 600 ლარზე მეტია. ბ) თუ მომხმარებელი ირჩევს განწილვადებულ გადახდას, მაშინ არანაირი მნიშვნელობა არა აქვს ხარჯთაღრიცხვით გამოთვლილ თანხას. იგი გადაიხდის 25 ლარს 24 თვის განმავლობაში (ანუ სულ 600 ლარს).

გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ყოველივე ზემოთთქმული ეხება იმ შემთხვევას, როდესაც მომხმარებელს ჭირდება ერთ წერტილში გაზის მიყვანა. ერთზე მეტი წერტილის გაზიფიცირებისას, მომხმარებლისა და ლიცენზიანტი კომპანიის ურთიერთობები ამ მუხლით არ რეგულირდება და ურთიერთშეთანხმების საგანს წარმოადგენს. ე.ი. თუ მომხმარებელი განაცხადს გააკეთებს ორი ან მეტი წერტილის გაზიფიცირების შესახებ, მასთან ჩვეულებრივი სახარჯთაღრიცხვო თანხებით ხდება ურთიერთობები.

***თქვენი საუბრიდან გავიგე, რომ ამ სერვისში ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრებლები არიან დასაქმებულები, რაც ძალზე სასურველი და მისასალმებელია. რამდენი ადამიანია სულ დასაქმებული და როგორია მათი საშუალო ანაზღაურება?***

–დიახ, ჩვენთან ხობის მუნიციპალიტეტის მცხოვრებლები არიან დასაქმებულნი. მათი რაოდენობა 25 ადამიანს შეადგენს (სპეციალისტები და მუშათა კატეგორია). მათი საშუალო ხელფასი 500 ლარია. მიმდინარე წლის მაისის თვიდან იგეგმება საშტატო ერთეულის ხელფასის გაზრდა.

***ამჟამად რა სამუშაოებს აწარმოებთ და სად?***

–ამჟამად ქალაქ ხობში მიმდინარეობს როგორც კერძო სექტორის, ასევე საცხოვრებელი კორპუსების გაზიფიცირება (გაზიფიცირებულია სამი საცხოვრებელი კორპუსი ცოტნე დადიანის №238-240-242).

აღნიშნულ სამუშაოებს ოთხი სამონტაჟო ბრიგადა აწარმოებს, რაც სავსებით აკმაყოფილებს ქალაქის მოთხოვნებს.

***მართალია, ახლა რასაც შეგეკითხებით, თქვენს კომპეტენციაში არ შედის, მაგრამ დარწმუნებული ვარ ინფორმირებული იქნებით, წელს რომელ თემში თუ სოფელში დაიწყება გაზიფიცირების სამუშაოები და ვინ შეასრულებს მას?***

–მე მხოლოდ ერთი რამ შემიძლია გითხრათ, ამჟამად მიმდინარეობს წინასაპროექტო მოკვლევის სამუშაოები გაზიფიცირების გარეშე დარჩენილ დასახლებულ ადგილებში.

***ესაუბრა***
***ნანი კილასონია.***

**საღაზღვევო კომპანია–ხალხის სამსახურში**

# ხობი ჩემი დედულეთია...



ლალი სიორდია-ექიმი მეან-გინეკოლოგი, ოჯახის ექიმი. წარმოშობით ზუგდიდელია. სწავლობდა ზუგდიდის IV საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლის გაგრძელების მიზნით, როგორც თავად ამბობს, გაემგზავრა დიდ რუსეთში, ჩააბარა სამედიცინო ინსტიტუტში და 13 წელი იქ დაჰყო. ასპირანტურისა და ორდინატურის დამთავრების შემდეგ მუშაობდა მოსკოვის ერთ-ერთ საავადმყოფოში მეან გინეკოლოგად,ასევე გადაუდებელ სასწრაფო გინეკოლოგიაში. საქართველოში დაბრუნების შემდეგ (2006 წელს). მუშაობა დაიწყო კლინიკა სენამედში ექიმ მეან გინეკოლოგად. მას ხობი და ხობელები განსაკუთრებით უყვარს. ხობი მისი დედულეთია, ბავშვობა აქ აქვს გატარებული. ალბათ ბევრ ხობელს ახსოვს დედამისი, ქალბატონი მზია კუტალია, რომელიც წლების განმალობაში ხობის რაიკომში მუშაობდა. მისთვის თითოეული ნაცნობი თუ უცნობი ახლობელია ამ ყველაფერმა განაპირობა მისი მუშაობის დაწყება ხობში. ის ამჟამად შ.პ.ს.მკურნალში მეან-გინეკოლოგად და ოჯახის ექიმად მუშაობს. ის ასევე წარმოადგენს სადაზღვეო კომპანია არდი ჯგუფს. ჩემი ვიზიტი მასთან სწორედ ამ კომპანიაზე საუბრით შემოიფარგლა, რამეთუ ამ კომპანიაში ჩვენი მუნიციპალიტეტის არც თუ ისე მცირე ნაწილია დაზღვეული.

***ლალი, რამდენი წელია, რაც სადაზღვევო კომპანიას ხობში წარმომადგენელი ყავს?***

–მინდა ერთი რამ გითხრათ, სადაზღვეო კომპანია იმედი-L ინტერნაციონლმა დამაკავშირა ხობთან და ხობელებთან. მე მაშინ გახლდით სამეგრელო ზემოსვანეთის კოორდინატორი, ჯერ კიდევ მაშინ ვახორციელებდი როგორც კორპორაციულ, ასევე პედაგოგებისა და უმწეოთა დაზღვევებს. მას შემდეგ, რაც ამ კომპანიამ თავისი მუშაობა შეწყვიტა, ჩემი საქმიანობა „არდი“ ჯგუფს დავუკავშირე ანუ 2012 წლიდან არდი ჯგუფთან ერთად ხობში ვარ და საჭიროებისამებრ გვერდში ვუდგავარ თითოეულ ხობელს. ხოლო, რაც შეეხება ამ სადაზღვევო კომპანიას, მინდა გითხრათ, სადაზღვევო კომპანია „არდი ჯგუფი“ ახალი ბრენდია ქართულ სადაზღვევო ბაზარზე, რომლის ისტორია 2010 წლიდან იწყება. კომპანიამ, დღემდე განხორციელებული ინოვაციური აქტივობებით, შეიძინა ყველაზე სწრაფად განვითარებადი სადაზღვევო კომპანიის სტატუსი. 2010 წლიდან სადაზღვევო კომპანია არდი ჯგუფის ყოველწლიური აუდიტორული შემოწმება ხორციელდება საერთაშორისო აუდიტორული კომპანია BDO–ს მიერ, რაც კიდევ უფრო ამაღლებს მის ნდობას და გამჭვირვალობას პარტნიორებს შორის.

***„არდი“ ჯგუფის ძირითადი მიზანია?..***

–მომხმარებელთა მოთხოვნილებების გამოვლენა, მათზე ორიენტირებული სადაზღვევო პროდუქტების შექმნა, მუდმივად გაუმჯობესებული ხარისხის მომსახურების მიწოდება და შედეგად დაზღვეულთა მრავალწლიანი ლოიალობის მოპოვება. კომპანიის მისია ბიზნესის გრძელვადიანობა, მომხმარებლისთვის სტაბილურობისა და დაცულობის შეგრძნების შექმნაა. დაარსების დღიდან კომპანიის სათავეში დგას მრავალწლიანი სადაზღვევო გამოცდილების მქონე მმართველი გუნდი, რაც კომპანიის დინამიური და წარმატებული განვითარების კიდევ ერთი წინაპირობაა.

***პროვაიდერ კლინიკებზე რას გვეტყოდით?***

–თითქმის ყველა, საქართველოში დარეგისტრირებული კლინიკა არის ჩვენი პროვაიდერი. მაგრამ სხვა კლინიკაშიც არ არის პრობლემა. ჩვენთან დაზღვეული ბენეფიციარის სარჩელის საფუძველზე ხდება მათი ანაზღაურება...

***რას გვეტყოდით საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებზე?***

–სადაზღვევო კომპანია „არდი“ ჯგუფი ახორციელებს მსხვილი რისკების გადაზღვევას მსოფლიოს ისეთ წამყვან გადამზღვევ კომპანიებში, რომლებიც განსაკუთრებით კარგად იცნობენ ქართული სადაზღვევო ბაზრის სპეციფიკას და ადაპტირებულნი არიან მასზე. პარტნიორის შერჩევისას მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა Standard & Poors-ის მიერ მინიჭებულ რეიტინგს და მსოფლიოში აღიარებულ რეპუტაციას.. ჩვენი პარტნიორები არიან: CBL International, Munich Re, Scor, AXA, Hannover Re, ACE, LLOYD'S და ა.შ

***–იტყვიან, მარტი ქალების თვეაო, რას უსურვებდით ქალბატონებს?***

–ვისურვებ ყველა ქალი იყოს ბედნიერი, სიხარულითა და სიყვარულით აღსავსე. ხობში მცხოვრებ ყველა დედას მინდა მივულოცო დედის დღე. როგორც მეან-გინეკოლოგმა, მინდა ვისურვო ორსული ქალბატონების რიცხვთა ზრდა, რამეთუ თითოეული პატარის დაბადება ახალი სიცოცხლის გაგრძელებას ნიშნავს. ჩვენს რაიონს კი ჯანსაღი ახალი თაობა ჭირდება და კიდევ ქალებს ვუსურვებ სილამაზეს და თავიანთი თავის პატივისცემას.

**ნინო გერგაია.**



# „ქალი მშვენება უცნაური, ცას გადმოკიდებული ქვეყანე...“





როცა ,,ხობის მოამბე" მიწვევს ვისაუბრო ქალზე, გაზაფხულზე ეს თავისთავად მჩუქნის დამატებით, ფიქრსმომადლებულ საფიქრალს ბუნების საოცრებაზე.

ვაღიარებ, მიყვარს სიმბოლიკაზე ფიქრი, მით უფრო,რომ ქალზე საუბარი სამყაროში გაზაფხულის გარდაუვალ არსებობასთან გაიგივებაა... რადგან, ზამთრის სიცივეს, დამზრალ მიწას, ძარღვებდაშრეტილ ბუნებას, ერთფეროვნებისკენ მიდრეკილ ფერებს-დედოძარღვის გადასახსნელად, ფერების მოსავლენად, ყვავილების ამომზევებლად-სჭირდება მისი უდიდებულესობა სითბო, მზეს რომ სჩვევია და ქალს გაზაფხულივით ხატავს. მზის არსებობაც ხომ ღვთის თვალის დედისმიერ არსებობას აერთებს ცასა და დედამიწაზე. ალბათ, ამადაც ამოდის ყოველ დილას დედამიწის გასანათებლად, დროის ასათვლელად და შესაცვლელად.

ასე მგონია, მზის ამომზევებიდან დაიწყო გაზაფხული და იწყება ქალიც..

მაგრამ ქალი დაბადებიდან, ანუ მისი არსობის საწყისიდან, ამ ცოდვა- მადლიან სამყაროში, ცოდვით კი არა მადლით დაიწყო.. ცოდვა მხოლოდ მერე მოვიდა, როგორც ამქვეყნიური ცხოვრების საზღაური, თუმცა ესეც თავისთავადია და ყველას თავისი მისია და ტვირთი, თავისი წილი სიხარული და ტკივილი აქვს სატარებელი..

საუკუნეთა სიშორიდან თუ დღეის ახლოობიდან-ისევ ლამაზია ფურცლებს და მეხსიერებას შერჩენილი ქალისთვის ნათქვამი ყოველი ოდა...

## ...და იყო ქალი

„და იყო ქალი.. და არის ქალი", ის დღესაც თავისი ბუნებით იგივეა, უბრალოდ იცვლება დრო და სტერეოტიპები ისხვრევა, რადგან არსებობისას არაფერი რჩება მუდმივად, მერე კი მაინც ყველაფერი მეორდება–ამ განმეორებაშია, სწორედ მარადისობის დაუწერელი თუ დაწერილი კანონი.

ქალს, რისიც სჯეროდა, გულის გულში დღესაც მისი სჯერა, რომ ის განსაკუთრებულია, რომ ის ერთადერთია და განუმეორებელი . ეს, ასეა და ამიტომ, არც ერთი ქალი ზუსტად არ მეორდება მეორეში და ალბათ, არც არის საჭირო..

ყველა დროის ქალი, იმ დროს ემსგავსება, რომელ დროშიც ცხოვრობს, ვეფხისტყაოსნის პერსონაჟ ქალთა სახებას იმეორებდა ქართველი ქალი. მანამ და მერეც ყოველი საუკუნე თავად აყალიბებდა საუკუნის ქალის სახებას.. მეფეთ- მეფობით აღმატებულს, წამებულს მამულისათვის, დედობით გმირს და შვილებით ქედუხრელს ... ისტორია, ლიტერატურა, ხელოვნება–ეტრატზე კალმით, ტილოზე ფუნჯით, უნაზეს ნოტებად მსახურებდა ქალის ხატებას.. და მაინც, ყოველ დროს ნატიფი ქალი ამშვენებდა, დროის სიმკაცრეს ალბილებდა და თავგანწირვაცა და სიცოცხლის დაბადებაც მზის დაბადებას და მზის ჩასვლას ემსგავსებოდა ყოველჟამს.

დღეს საზოგადოება ბევრს საუბრობს, ბევრი იწერება, მრავლად განიხილება რამდენად უხეში, მამაკაცს მიმსგავსებული გახდა ქალი, რამდენად მეტია მჯილზე , საკუთარ ძალასა და შესაძლებლობაზე ორიენტირებული, და არა სიცოცხლის მაჯაზე სიკეთით მომზირალი ქალი.

გაჩნდა ე.წ. „თავისუფალი ზონა აზროვნების,“ მაგრამ საქართველოში, სადაც ანა კალანდაძე

სიცოცხლესთან გაიგივებულ ზღვას ასე ესათუთებოდა:

„ზღვას ალერსიანს, მობუბუნეს,
სიმშვიდეს ვთხოვდი,
ის იდგა ჩემს წინ- მონუსხული,
ვეფხვივით თრთოდა,
ზღვას ალერსიანს, მობუბუნეს,
სიხარულს ვთხოვდი,
ხელს მილოკავდა და
თვალებით იმასვე მთხოვდა“–არ შეიძლება უხეშსულიან, საშოვარსაპოვნელზე გადაგებულ ქალთა სიმრავლე მოედოს...

და, რომ იშვიათობად არ იქცეს ის საოცარი არსება, რომლის ღვთიური საწყისი, ვისი დიდბუნებოვნება, ვისი სისუსტე და ძლიერება ამშვენებს საყაროს, მხოლოდ ერთი დღით, თუნდაც გაზაფხულის ერთი ლამაზი დღით არ უნდა ხდებოდეს მისი გალამაზება. ქალს უნდა ჰქონდეს მეტი შესაძლებლობა ერქვას საზოგადოების გულთბილი წევრი, და თუ გაურკვეველი გამონაკლისის სახით არ იშვა განსაკუთრებულად უხეში უნიკუმი, ის ყოველთვის იქნება მშვენიერების საწყისი, მშვენიერების განმავრცელებელი, ერქმევა მშვენიერი ღვთისშვილი, დედა, და, მეუღლე, მეგობარი, სანთელივით ლოცვად საძერწი და დამლევენთავი.

ჩემს ცხოვრებაზე ბევრად ლამაზი ჩემი წარმოსახვაა, რაც ასე მილამაზებს ირგვლივ საწიერს, მაგრამ არც ერთი წარმოსახვა არაა ირეალური სამყაროდან. უბრალოდ, მე მათ ისევ ვაცოცხლებ, რისი დავიწყებაც არ მინდა, რომ გაზაფხული ისევ გაზაფხულივით შემოვიდეს.

მინდა გაზაფხულივით მივეფეროთ და მივესალმოთ ყველა ქალბატონს, ვინც ჩვენს მოგონებებში ლამაზი დღეები შექმნეს, ვინც საკუთარი კერიდან, სამსახურიდან, სიტყვით, საქმით და უპირველესად გულით სჩუქნიდა სიხარულს, და დღესაც ალამაზებს საზოგადოებას საოცარი შარმით, შრომისმოყვარეობითა და მშობლიური კერის სიყვარულით. ქალები, რომლებიც სახლსა და საზოგადოებაში ერთნაირი რუდუნებით ტოვებდნენ და ტოვებენ საკუთარ ხელწერას, ასეთ ქალბატონთა სიმცირესა და მაინც საოცარ სიმრავლეზე მინდა სწეროს ჩემმა საყვარელმა გაზეთმა, რომლის ფურცლებს ახსოვს ლეილა წოწონავას ქალური კლდემა.. ლირა ბასილაიას ერთგულების ნიჭი, ნაირა ბუკიას დედაშვილური სითბო და კედლები, რომელიც დღესაც ინახავს უკვე ლეგენდადქცეულ ლამაზ ისტორიას სიყვარულისას, დღეთა და წელიწადთა მშვენიერებისა, კალმისა და ფიქრის მადლმოსილი ნიჭიერებისა. მინდა ნავსაყუდელად ეგულებოდეთ წინა და მომავალ თაობას, ნავსაყუდლად, რომელიც ასე სჭირდება ყოველდღიურ რუტინაში, ელექტრონულ მედია- საშუალებებსა და სოციალურ ქსელებში ჩაფლულ საზოგადოებას, სადაც ბევრი რამ თავიდან იბადება, ბევრი რამ კეთდება, ბევრი რამ არასწორად მიიღება და არასწორად იყენებენ. ხშირად მოგანატრებს მზით გაჯერებულ სტრიქონებს, ამბებს.

ჩემო ნაცნობო ფურცლებო,თუ ძველი, ლამაზი ტრადიციის დარად პატარა გოგონებს მიუყვებით, თუ როგორ ცხოვრობდნენ უკეთილშობილესი ხობელი ქალბატონები, ან თავად მოყვებიან შენთან როგორ უნდათ რომ ცხოვრობდნენ-ვფიქრობ, გაზეთის ერთ ფურცელზე ყოველთვის იქნება ერთი გაზაფხულით მეტი... და ქუჩებში მოჟრიამულე, სკოლის მერხთან დღევანდელობის შემქმნელ –შემფასებელ გოგონებს ექნებათ საშუალება იცოდნენ, როგორი ღირსებით ამშვენებდა მათ ქალაქს, სოფელს- დედებისა და დიდედების თაობა. მათ ექნებათ სურვილი, მიბაძონ , ისწავლონ ცხოვრება, სადაც დედობა, ქალურობა, ზრდილობა და სიწრფელე უპირველეს ღირსებად ითვლებოდა, რაც უნდა რთული გზა გაევლო მას, ყოველთვის რჩებოდა საზოგადოებისათვის საინტერესო და საყვარელ არსებად.

ამიტომ, თქვენის ნებართვით, დედის დღე, გაზაფხული, ქალის დღედ წოდებული დღესასწაული „ხობის მოამბესთან“ ერთად მინდა მივულოცო ყველაზე პატარა ხობელ გოგონას, ამ წერილის წერიდან მის გამოქვეყნებამდე დაბადებულს და მთელს სამყაროსთან ერთად ვუსურვო ბედნიერი გოგონების ბედნიერ ქალბატონებად ქცევა და სამყარო ზუსტად ისეთი მშვენიერი იქნება, როგორიც უნდა იყოს, რადგან მშვენიერება არა ტვირთად, ბედნიერებად უნდა ენიჭებოდეს ღვთისმშობლის ლოცვით მოვლენილთ!

გილოცავთ!

**როზეტა შულაია**

ბლიც ინტერვიუ

## „გვიყვარდეს და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!“



***სახელი***– ლეილა

***გვარი***– შამათავა

***საქმიანობა***– ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი

***თქვენი წარსულის ლამაზი დღე***

–ჩემს ლამაზ წარსულს ჩემი ბავშვობა უკავშირდება, მას სილაღით, გულწრფელობით და უშუალობით ვერაფერი შეედრება.

***რა გენატრებათ***

–მამაჩემის მომღიმარი კეთილი სახე...

***თქვენი მყუდრო ადგილი?***

– ეს ჩემი სახლია.

***ორი სიტყვით თქვენს ოჯახზე?***

–ბედნიერი ვარ, რომ გავიზარდე ისეთ ოჯახში, სადაც ურთიერთსიყვარული, ურთიერთაგება და პატივისცემა იყო და არის უმთავრესი ღირებულება.

***თქვენი ხასიათის ძლიერი მხარე?***

–პასუხისმგებლობის გრძნობა.

***თქვენთვის მისაბაძი ქალი?***

–დედაჩემი.

***თქვენი ყველაზე უცნაური თვისება?***

–ვფიქრობ, განსაკუთრებული უცნაურობით არ გამოვირჩევი.

***განსაკუთრებული სურვილი, რომელიც ვერ აისრულეთ?***

–ამ სურვილის ასრულებას ჯერ კიდევ შევძლებ, ასე რომ...

***ყველაზე ძალიან რა არ გინდათ?***

–ყველაზე ძალიან არ მინდა ჩემს გვერდით მყოფი ადამიანების სახეზე ტკივილი და სევდა დავინახო.

***რისი გჯერათ?***

–მჯერა უფლის ყოვლისშემძლეობის.

***რასაც არასდროს გააკეთებდით?***

–ვცდილობ იმედები არასდროს გავუცრუო საყვარელ ადამიანებს.

***ქალში რას აფასებთ?***

–დამოუკიდებლობას.

***ქალურ ბედნიერებაში რას გულისხმობთ?***

–ბევრი რამ არ მჭირდება ბედნიერებისთვის, ეს ჩემთვის ფუფუნებასთან და უზრუნველ ცხოვრებასთან ნამდვილად არ ასოცირდება, უბრალოდ, თბილი, მყუდრო ოჯახური გარემო, ესაა ჩემი ბედნიერების გასაღები.

***ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?***

–საყვარელი ადამიანების დაკარგვის.

***ფრაზა, რომელსაც ყოველდღიურ საუბარში ხშირად იყენებთ?***

–იმდენი ლაპარაკი მიყვარს, რომ ერთი კონკრეტული ფრაზა არ მახსენდება.

***ყველაზე საინტერესო სიტუაცია, რომელშიც აღმოჩენილხართ?***

–ეს ჩემს საადვოკატო საქმიანობას უკავშირდება და მას დიდი სიამოვნებით ვიხსენებ ხოლმე. იმ მომენტის დავიწყება შეუძლებელია, როცა ორწლიანი პატიმრობის შემდეგ ჩემი დაცვის ქვეშ მყოფი, უზენაესი სასამართლოს სხდომათა დარბაზიდან გაათავისუფლეს.

***რა უნდა გახსოვდეთ ამ ქვეყნად ყოველთვის?***

–ყოველი გათენებული დილისთვის უფალს მადლობა შევწირო.

***ის, რაც ძალიან გინდა?***

–ცხოვრება მინდა იმ ზღაპარს ჰგავდეს, სადაც სუყველა ბედნიერია.

***როცა უკან მოიხედავთ რას ხედავთ?***

–უკან მოხედვის მართლა არ მეშინია, რადგან ვფიქრობ, კეთილსინდისიერად გავიარე ეს გზა.

***თქვენი ნება რომ იყოს, რას შეცვლიდით?***

–პირად ცხოვრებაში ალბათ არაფერს.

***ყველაზე ლამაზი და დასამახსოვრებელი საჩუქარი?***

–თუ დამიჯერებთ ჩემთვის ყველაზე ძვირფასი საჩუქარი იმ ადამიანების სიყვარულია, რომელსაც ყოველ ნაბიჯზე ვგრძნობ და ამისთვის მათ დიდი მადლობა.

***8 მარტს ულოცავ...***

–ყველა ქალს, მინდა მუდამ გაზაფხულივით ლამაზები და სასურველები იყოთ.

***რამე ხომ არ დაგრჩათ სათქმელი?***

–გვიყვარდეს და გავუფრთხილდეთ ერთმანეთს!

**ლელა ალანია, ჟურნალისტი.**



# „ქალი მშვენება უცნაური, ცას ჩამოკიდებული ქვეყნად..."



გაზაფხულია თითქოს ცხოვრება ხელახლა იწყება, სიცოცხლის დაწყება კი ყოველთვის ქალთან, დედასთან ასოცირდება, ალბათ ძნელია ადამიანურ ურთიერთობებში უფრო ლამაზი, პოეტური და სულიერი საწყისის ზეიმის პოვნა, როგორც ეს ქალის შემთხვევაშია. იგი წარმოიდგინება როგორც სინაზის განსახიერებაც და როგორც შეუპოვრობის, მძიმე შრომისა და ბრძოლის მონაწილეც. ქალი ყოველთვის ლეგენდურ სამოსშია გახვეული, იგი იდუმალი, სათნო და მტკიცე სახით გვესახება. თუმცა როგორები არიან ისინი სინამდვილეში და რას ფიქრობენ მასზე მამაკაცები ჩვენი ინტერვიუდან შევიტყობთ.



*წარმოგვიდგინეთ თქვენი თავი.
*ყველაზე ლამაზი დღე თქვენს ცხოვრებაში?
*ქალი...........................
*როცა რჩები საკუთარ თავთან, მარტო...
*როგორი ქალებია დღეს მოდაში?
*დღე, რომელიც ძალიან გიყვართ?
*ყველაზე კარგი წლები ზოგადად ქალის ცხოვრებაში?
*მოგწონთ კაცი შემომტანის როლში და ქალი დიასახლისის ამპლუაში.
*ოჯახი და სამსახური თუ სამსახური ან ოჯახი?
* რა გწყინთ ხოლმე?
*გჯერათ რომანტიკული სიყვარულის?
*ვის ევალება ოჯახზე პასუხისმგებლობა?
* სრული კომფორტისთვის საჭიროა.......
* გიფიქრიათ კაცის მაგივრად?
* როგორია ძლიერი ქალი?
* ქალები, რომლებიც ძალიან გიყვართ.
*თქვენი საყვარელი სტრიქონები ქალზე.



* მერი ამბრამია, პენსიონერი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, ჟურნალისტი.
* 1951 წლის 9 მაისი, უფროსი ვაჟის თამაზის დაბადების დღე.
* მომწონს ქალი კეკლუცი, განათლებული, მებრძოლი.
* თვალს ვავლებ ჩემს განვლილ გზას.
* ჭკვიანი და საქმიანი.
* მიყვარს 12 სექტემბერი, ჩემი მარიკას დაბადების დღე.
* ქალისთვის საუკეთესო წლებია მაშინ, როცა ის უყვართ და თავადაც შეყვარებულია.
* კაცი შემომტანი, ქალი—კარგი დიასახლისი.
* ოჯახი და სამსახური.
* მწყინს, როცა მართალს არ ამბობენ.
* მჯერა, ჩემს ცხოვრებაში ყოფილა იგი.
* ქალსაც და კაცსაც.
* სიყვარული და ურთიერთგაგება.
* არა მარტო მიფიქრია, ხშირად კაცის საქმეც კი მიკეთებია.
* ძლიერია ქალი ძლიერი მამაკაცის გვერდით.
* ქალი ლამაზი, მოწესრიგებული და პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე. ასეთი იყო ჩემი იდეალი ქალბატონი პედაგოგი თამარ ჩაგვავა, ჩემი მასწავლებელი, საუკეთესო მეუღლე, მეოჯახე და ხუთი შვილის დედა
* „ასწიეთ მაღლა, აიტაცეთ
ღრუბლთა ზედა,
ქალი მებრძოლი, ქალი დედა,
ქალი ლეგენდა."

* მედეა კობახიძე ჟურნალისტი, უკვე მრავალი წელია, პოლიციაში ვმსახურობ. თავიდან სამოქალაქო თანამშრომელი ვიყავი, მოგვიანებით, სამართალდამცველი. ადრე ჩემთვის თითქოს უცხო იყო პოლიციურ ძალებში ყოფნა, მაგრამ თანდათან მოვახერხე შემესწავლა ეს უზარმაზარი სისტემა.

ჩემი ახლანდელი მდგომარეობა სრულად ბუნებრივია ჩემთვის. თითქმის ყოველთვის, როცა ამაზე ვსაუბრობ საზოგადოებაში და ვამბობ, „პოლიციის ოფიცერი" ვარ, ვგრძნობ დიდი ინტერესისა და ცნობისმოყვარეობის ნაზავს...

* ჩემთვის ყველა დღე დატვირთული, შინაარსიანი და შთამბეჭდილებებით აღსავსეა... ყველაზე ლამაზი დღე მაინც ის დღეა, როცა მიზანი განხორციელებულია.

*„შენ ხარ ქალი, ანუ მსახიობი, გაქვს
ასი სახე და ათასი როლი...
შენ ხარ ქალი, ანუ ხარ დედოფალი და
სამყაროს ყველა მეფის სიყვარული...
შენ ხარ ქალი, ე.ი. მონაც, რომელმაც იცის
წყენის მლაშე გემო.
შენ ხარ ქალი, ე.ი. უდაბნო, რომელიც
მე ფერფლად მაქცევს..."

* საკუთარ თავთან მარტო უმეტესად საღამოს, გვიან საათებში ვრჩები... ფიქრებში დაღლილს ძილი მომერევა უმეტესწილად და...

* დღეს პოპულარულია ქალი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურ დამოუკიდებლობას, ბავშვებისა და სახლის მოვლას, ჩართულობას პოლიტიკაში, გაერთიანებებსა და სხვა სოციალურ საქმიანობებში.

* ყველაზე მეტად მიყვარს აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაული, როცა ირგვლივ ყველა და ყველაფერი გაბრწყინებული და ლამაზია.

*ქალისთვის კარგი წლებია, ზოგადად, როცა მთელი არსებით აღწევ, იყო რეალიზებული...

*ჩვენი ტრადიციით, კაცი ყოველთვის ითვლებოდა ოჯახის თავკაცად... ამდენად, მან პირითადში უნდა მოახერხოს ოჯახის მატერიალური უზრუნველყოფა, თუმცა ქალი, როგორც მარტო დიასახლისის ამპლუაში, არ მომწონს...

* ჭკვიანი ქალები ყოველთვის თანაბრად ახერხებენ ჰარმონიულად შეუთავსონ ერთმანეთს ოჯახი და სამსახური...

* სიცრუე... ყველაზე მეტად აუტანელია ამ ქვეყანაზე...

* „სიყვარულია თავად ღმერთი ამ ქვეყანაზე"...

* ოჯახზე პასუხისმგებელია ზოგადად ქალიც და კაციც.

* სრული კომფორტისთვის საჭიროა მშვიდი, მხიარული გარემო...

* არავის მაგივრად არასდროს არ მიფიქრია... მე ყოველთვის ჩემი ფიქრებით ვცხოვრობ.

* ქალი ძლიერია, როცა ის თავის მოვალეობებს, საქმეს ყოველთვის წარმატებულად ასრულებს როგორც ოჯახში, ასევე სამსახურში...

* ძალიან მიყვარს წარმატებული ქალები...

* „შენ ხარ ქალი, ე.ი. მშვენიერება
დაბადებიდან სიჭაღარავემდე.
შენ ხარ ქალი ღვთისგან რჩეული, თუმც
უკვე დასჯილი მისგან..."



კაცები ქალბატონებზე

* ქალი ესაა...
* საუკეთესო ასაკი სიყვარულისთვის?
* საჩუქარი, რომელიც მიგიძღვნიათ ქალისთვის.
* ეთანხმებით ანდაზას „ლეკვი ლომისა სწორია"
* ქალის ადგილი-სამზარეულო, საზოგადოება, პოლიტიკა.
* შვილების აღზრდაში მთავარია (დედა, მამა)
* დედა.................
* ვის მიულოცავთ ქალთა დღეს, რა სიტყვებით



## კახა ბუკია

* წყარო, რადგან იგი სიცოცხლის საუკეთესო თვისებებს ატარებს– სილამაზეს, იდუმალებას, თავისთავად ძლიერებას, რაც სამყაროს ასე სჭირდება და ასე ამშვენებს...

* სიყვარული უასაკოა, ანუ წინასწარ გაწერილი ასაკი არ შეიძლება ჰქონდეს სიყვარულს, ის ნებისმიერ ასაკში შეიძლება ეწვიოს ადამიანს... უბრალოდ, მთავარია, ეს გრძნობა ყველამ ლამაზად გამოხატოს და მასთან ერთად ბედნიერი იყოს...

* საჩუქრისთვის არ არის აუცილებელი განსაკუთრებული დღე და არც იმის აღნიშვნა, მიყვარს—რა საჩუქრით გამიხარებია ქალი, ეს კონკრეტულ დროს და ძალიან სათნო და ღირსეულ ქალბატონებს უკავშირდება.

* რა თქმა უნდა, ეს აფორიზმი ღრმა გამოხატულება და მასში ჩადებული ფილოსოფია წარსულში და დღეს გამოკვეთილად ჩანს. უბრალოდ, ქალი მაინც უფრო ნაზი ლომია ალბათ...

* სადაც არ უნდა იყოს ქალი, ყველგან თავის ხელწერას ტოვებს, თუკი ეს სამი სტრატეგიული ადგილი შესძლო და დაიპყრო, გამოდის, რომ ძლიერია და საერთოდ, ქალი საზოგადოების ღირსეული წევრი უნდა იყოს, რა ადგილზეც არ უნდა აირჩიოს მოღვაწეობა...

* შვილების აღზრდაში, დედ-მამას აბსოლუტურად თანაბარი როლი აქვს, მათი დაცალკავება, ვინ მთავარია და ვინ მეორეხარისხოვანი, არ შეიძლება.

* ნებისმიერი შვილისთვის დედა—ერთადერთი არსებაა, რომლის სიყვარულს, ვერავინ შეცვლის-რადგან დედაშვილობას თან განუმეორებელი სიყვარული ახლავს, როგორც შვილმა, განსაკუთრებულად მინდა მადლობა გადავუხადო დედას ტკბილი დედობისათვის, რაც მისთვის ხშირად მითქვამს და ბედნიერი შვილი ვარ.

ჩემი შვილების დედობისათვის ვუხდი მადლობას ჩემს მეუღლეს, დედობის სიწმინდე მინდა დავულოცო ყველა ქალს!

* გილოცავთ ძვირფასო ქალბატონებო, ყველა დღე უნდა იწყებოდეს თქვენი სიხარულით და სურვილი გიხაროდეთ სიცოცხლე—თქვენთვის მოენიჭებინოს შვილებს, მეუღლეებს, მეგობრებს, საზოგადოებას, დროს!

ვულოცავ ხობელ ქალბატონებს ამ დღეს!

განსაკუთრებით ვულოცავ გაზეთ „ხობის მოამბის" სარედაქციო კოლეგიას, ვინც მომცა საშუალება, კიდევ ერთხელ მესაუბრა და კიდევ ერთხელ მესურვებინა სამყაროს მშვენიერი არსებებისათვის—ქალებისთვის ბედნიერება, უფლის წყალობა და სიხარული.

## ბეჟან ბერაია

* ღვთის მიერ შექმნილი უმშვენიერესი არსება, რომელსაც ერთდროულად შეუძლია იყოს დედა და, შვილი, და საუკეთესო მეგობარი.

* ჩემი აზრით, სიყვარული ნებისმიერ ასაკში შეიძლება, მას ხომ ასაკი არა აქვს.

* ყველაზე დიდი საჩუქარი, რაც ქალისთვის მიმიძღვნია იყო ჩემს მიერ დაწერილი ორი ლექსი, ერთი მივუძღვენი დედას, მეორე კი—მეუღლეს.

* რა თქმა უნდა ვეთანხმები, აზრს „ლეკვი ლომისა სწორია," ამის მაგალითი უამრავი გვაქვს ქართველებს.

* ქალი უნდა იყოს ყველგან, რადგან ქალებს აქვთ გარდაქმნის საოცარი უნარი იყონ ყველგან წარმატებულები.

* შვილების აღზრდაში ორივე მშობელი აუცილებელია, რადგან ორივე ერთად ქმნიან სრულყოფილებას.

* დედა, ეს არის ერთადერთი ადამიანი ცხოვრებაში, რომელსაც ვერავინ შეგიცვლის. ამიტომ იწყება ყოველი საუკეთესო ამ სიტყვით (დედაენა, დედასამშობლო, დედამიწა...).

*ქალთა დღეს ვულოცავ ყველა ქართველ ქალბატონს. სიყვარული, ბედნიერება და ოჯახური სიტკბოება იყოს მათი თანამგზავრი.

## ლაშა ცატავა

* ქალი ესაა ოცნება, სინაზე „ქალი—ცის ცრემლი ცოდვილ მიწაზე!

* სიყვარულს ასაკი არა აქვს!

* ლამაზი ყვავილები და უფრო ლამაზი ღიმილი.

* რა თქმა უნდა კი!

* იდეალური ვარიანტია ქალი საზოგადოებაში, პოლიტიკაში და წინსაფრით სამზარეულოში. ქალი ერთნაირად ლამაზი და სასურველია ყველგან!

* ოჯახის სიმყარე—სიძლიერე თანაბრად არის დამოკიდებული ორივეზე. თუმცა არის რაღაც, სადაც დედა მთავარია. მამა მუდამ მისაბაძი და საამაყოა პატარისთვის, მაგრამ დედის ალერსს, მის ნანას ვერაფერი შეედრება. სახლი დედაბოძის გარეშე არ არსებობს.

* მაგიური სიტყვაა, დედა გულია ძალიან დიდი, სიცოცხლეა, სიყვარული, სიხარულია განუზომელი.

* უპირველესად ჩემს დას მივულოცავ, ეს პირველი გაზაფხული მოდის მის გარეშე. მერე კი ყველა ქალს მივულოცავ, ბედნიერებას, სიხარულს. ულევ სიყვარულს ვუსურვებ!გვერდი

მოამზადა მანანა შულაია



# „ქალი მშვენება უცნაური, ცას გადმოკიდებული ქვეყანე..."





საკმაოდ ხანდაზმული გახლავართ, ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ მახსოვრობა და გონება მაქვს ძველე-ბური. ყველა და ყველაფერი მახსოვს, ყველაფერი მაინტერესებს, ბევრს ვკითხულობ, იმაზე მეტს, ვიდრე ადრე. იმიტომ, რომ ამისთვის მეტი დრო მაქვს. დამამახსოვრდა ერთი ბრძნული გამონათქვამი—ადამიანს ისე არაფერი აწუხებს, როგორც უსუფთაო სინდისი. მე თავს ბედნიერად ვგრძნობ, რომ სუფთა სინდისით მოვედი აქამდე. მიხარია, რომ მესტუმრეთ,—ასე დაიწყო ჩემთან საუბარი ქალბატონმა ზინა წულაიამ. მან მართლაც, რომ დიდი სიყვარული დათესა. ათეული წლები თაობათა აღზრდას შეალია. დღეს კი ჭარმაგი ჭაღარა ქალბატონი მიუხედავად წელთა სიუხვისა, დინჯად, მთელი სიზუსტით მიყვება განვლილ წლებზე, თუმცა მის თვალებში სევდა ჩანს, სევდა წარსულით გამოწვეული. მას დღესაც ენატრება თავისი სოფელი და ლაღი ბავშვობა, მშობლები. მაგრამ როგორც თავად ამბობს, ეს უკვე წარსულის ერთი ლამაზი ფურცელია. დღეს კი ბედნიერია თავისი შვილებით, შვილიშვილებით და შვილთაშვილების სიუხვით. გიყურებთ ქალბატონ ზინა და ჩემდათავად მურმან ლებანიძის ლექსი მახსენდება:

*„ახლა, მაგ ბუხარს აფიცხე ძვლები*
*ეგ ფერფლისფერი თმა შეიფერე,*
*ოთხმოციანი ჩამოდგა წლები*
*და ჩემი ცოდვით სავსე სიბერე."*

## დალოცვილიხართ ხობელებო!..

***მოდით, ცოტახნით წარსულში ვიმოგზაუროთ, თქვენი ბიოგრაფიული შტრიხები:***

–1924 წელს ბარბარობის დღეს, სოფელ შუა ხორგაში დავიბადე, მაგრამ ბარბარეს ნაცვლად ზინა დამარქვეს, რას იზამ, დრო იყო ასეთი. მრავალშვილიან ოჯახში ექვსი და-ძმა ვიყავით, ჩემი ოჯახი შეძლებული ოჯახი იყო და ბავშვობაც შედარებით კარგი მქონდა.

***ყმაწვილქალობა.***

–ჩემი ყმაწვილქალობა სამამულო ომის დაწყებას დაემთხვა, ჩემი ერთი ძმა სამამულო ომს შეეწირა, ეხლაც კარგად მახსოვს ის დღე. შობა დღე იყო, ტრადიციულად ღორის თავს ვხარშავდით, უწყება მოიტანეს, ჩემს ძმას სასწრაფოდ სამხედრო შტაბში იბარებდნენ. იმ დღის შემდეგ ის არავის გვინახავს, დედა სრულიად ახალგაზრდა გარდამეცვალა შვილის დარდს გადაჰყვა. მე უფროსი და ვიყავი და ყველას მხარში ვედექი ვპატრონობდი და ომის პერიოდში, როგორც აგიტატორს, დიდი დავალებები გვქონდა. სხვა ჩემს თანატოლებთან ერთად, რიგრიგობით 18 მეტრიან სიმაღლის კოშკურაზე ვიდექით და ფოთიდან შემოსულ ვერტმფრენებს ვუთვალთვალებდით, თუ რაიმე საეჭვოს შევამჩნევდით, ხობის სამხედრო შტაბს ვატყობინებდით. ამ და სხვა საზოგადო საქმიანობის გამო ბევრჯერ მადლობა და ჯილდოები მიმიღია, დღეს კი სამამულო ომის მონაწილესთან გათანაბრებულ პირად ვითვლები.



ყმაწვილქალობა

***სკოლა და პირველი მასწავლებელი:***

–შუა ხორგის საშუალო სკოლა დავამთავრე. ჩემი პირველი მასწავლებელი იყო კატო დათუაშვილი, კარგად მახსოვს ვენერა სურმავაც.

***უმაღლესი განათლება...***

–სკოლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფილოლოგიის ფაკულტეტზე განვაგრძე სწავლა, რომელიც 1947 წელს დავამთავრე.

***როდის შექმენით ოჯახი, მოგვიყევით თქვენი ოჯახის შესახებ.***

–ქარიატაში გავიცანი ჩემი მეუღლე, აწ განსვენებული ილია წურწუმია, ის კარგი ოჯახის შვილი, ზრდილი და სწავლული პიროვნება გახლდათ, ხობელებს ახსოვთ ალბათ მისი პროფესიონალიზმი და სამართლიანობა. მყავს შვილები ედიშერი და რუსუდანი. შვილიშვილები: ლაშა, ილია, ლევანი, ნათია და დავითი. მყავს ხუთი შვილთაშვილი, ასე, რომ ამ მხრივ მდიდარი გახლავართ, მყავს რძალი– ნარგიზა ტუღუში რომელთანაც დღემდე მეგობრულად ვცხოვრობ.



პირველი საშუალო სკოლის კორიფეები

***შრომითი ბიოგრაფია...***

–ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მასწავლებლობა შუა ხორგის სკოლაში დავიწყე, შემდეგ სოფ.ქარიატის სკოლაში გადამიყვანეს. ხობის N1 საშუალო სკოლაში მუშაობა რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად დავიწყე. მახსოვს პირველი დღეც. ერთ დღეს დავინიშნეთ პედაგოგებად მე, ნინა გოგინავა და მიშა დანელია. N1 სკოლა, სკოლა კი არა ნამდვილი აკადემია იყო. აქ ასწავლიდნენ ისეთი ძლიერი და გამორჩეული მასწავლებლები როგორებიც იყვნენ: საშა ბერაია, თამარა ჩაგვავა, ნინა გოგინავა, ლამარა ბუსქანძე, თამარ თოდუა, ინეზა წურწუმია, ეთერ კვიკვინია, ვერა ებანოიძე, ლია ჩაჩიბაია, ჟორჟი ხასია, მიშა დანელია, ნელი ბუკია, ვერა დარასელია, გული გაბრავა, ოლია იოსავა, მარო შონია, ანზორ კაკაბაძე, შალვა კალანდია, შალვა ხარებავა, ვიდიკო ბიგვავა, ნელი ბერაია, თინა სახოკია, ეთერ მებონია, ვერა ჯობავა, თამარა კანკავა, კლიმენტი და ნადია ბებურიები და სხვები. არ მინდა ვინმე გამომრჩეს და თუ ვინმე გამომრჩა, მომიტევეთ ჩემო მეგობრებო...

***რამდენად ნაყოფიერი იყო თქვენთვის მუშაობის წლები?***

–სკოლაში მუშაობის წლები ვფიქრობ, მეტად ნაყოფიერი იყო, დღესაც იმ წლებზე მოგონებებით ვცოცხლობ, დღე არ გავა რომელიმე მასწავლებელი ან მოსწავლე არ გამახსენდეს, იმიტომ, რომ სკოლაში სიცოცხლე ჩქეფდა, იყვნენ ძლიერი პედაგოგები და ძლიერი მოსწავლეები, რომლებიც ღირსეულად შემორჩნენ ხობის ისტორიას.

***რა აზრის ხართ ახალ თაობაზე?***

–ჩემი დროის ხობი ძლიერი, კოლორიტული და ინტელექტუალური ადამიანებით დაკომპლექტებული პატარა რაიონი იყო, რომელიც ყოველთვის ჩანდა სხვა რაიონებს შორის და ყველა სფეროში თავის ძლიერ სიტყვასაც ამბობდა.

დღევანდელი ხობი კი, როგორც მეუბნებიან, ძალიან გალამაზდა, გაკეთდა ბევრი სასიკეთო საქმე, ალბათ პიროვნებებიც პროფესიული საქმიანობით თანამდებობის შესაფერისნი არიან.

რაც შეეხება ახალ თაობას, ვიცი, რომ ძალიან ნიჭიერები, მიზანდასახულები და გამბედავები არიან, ეს ჩანს იქედანაც, რომ ძალიან ახალგაზრდები იკავებენ მაღალ თანამდებობებს, უძღვებიან საპასუხისმგებლო საქმეებს. ჩემს დროს კი ახალგაზრდას ყველა საფეხური უნდა გაევლო, რომ მწვერვალისთვის მიეღწია.

ახლანდელ თაობას უყვარს კომპიუტერი, ტექნიკა, (ეს ალბათ დრომ მოიტანა). ჩემს თაობას კი წიგნების კითხვა უყვარდა. დღე არ გავიდოდა ჩემს მეუღლეს სახლში ახალი წიგნი ან გაზეთი არ მოეტანა. ახალ წიგნს ყველანი რიგ-რიგობით ვკითხულობდით. ეს ჩემს შვილებსაც დაეტყოთ, თავს არ ვიქებ და წიგნიერი შვილები აღვზარდეთ, ასევე შვილიშვილებიც. მახსოვს ჩემი შვილიშვილები ლაშა და ილია ორიგინალში კითხულობდნენ რუსი პროზაიკოსების ნაწარმოებებს, ეს ალბათ ჩემი გავლენა იყო. შვილიშვილის შვილი შოთიკო კი კომპიუტერს უზის და ინგლისურს სწავლობს და საკმაოდ წარმატებულადაც.



ვერა ებანოიძესთან ერთად

მოკლედ, განსხვავება ალბათ სწავლების ტექნიკაშია, თორემ შედეგს ძველი თაობაც აღწევდა და ახალაც აღწევს.

***და ბოლოს რას უსურვებდით ხობს და ხობელებს?***

–ნათქვამია დედის ლოცვა იმდენად ძლიერია, რომ ის უშუალოდ ღმერთამდე ადისო. მე უკვე არაფერი შემიძლია გარდა ლოცვისა–დავლოცავ ხობს და ხობელებს, ხანდაზმულებს, მუდმივ წარმატებებს ვუსურვებ თითოეულ ხობელს.

***დიდი მადლობა ქალბატონო ზინა, სასიამოვნო საუბრისათვის. დიდი ხნის სიცოცხლეს გისურვებთ.***

**ესაუბრა ნინო გერგაია.**

## ქალი ცხოვრების „ანი" და „ჰოე"

...დღემ რომ მოიმატა, ჰაერი დათბა, გარემომ ჩამოთოვილი თეთრი სიზმრებიდან თავის დაღწევა სცადა, სწორედ მაშინ იგრძნო ყველაფერმა შორეული გაზაფხულის გულისფეთქვა. დედაბუნებას, ძარღვებში გაყინული სისხლი აუჩქეფდა... სულ ცოტა ხნის წინ მიწაზე ფეხი დადგა თოთო გაზაფხულმა.

...შენც ხომ კაცთა მოდგმის დამბადებელი და მისი მარადისობის არსი ხარ–დედა! შენ ხარ ამ ცხოვრების „ანი" და „ჰოე", შენ ხომ საწყისი ხარ საწყისთა შორის.

როცა მკითხეს ქართველი ქალის იდეალზე, ჩემს გონებაში უეცრად გმირი დედის სათნო სახე ამოტივტივდა ნინო (ფოფოდია), რომელიც თავისი ქალური კდემამოსილებითა და უბრალოებით სავსე გულს დაატარებს ქრისტეში. ის, ბევრი ახალგაზრდა დედებისათვის არის მისაბაძი თავისი უნიკალური ღვთიური ცნობიერებითა და მადლით. შესანიშნავი დედა და მეუღლე... ასე ვიცნობ მას.

ნინოს რომ ვუთხარი შენზე უნდა დავწერო მეთქი, უხერხულობისაგან ლოყები შეუფაკლდა, დაიმორცხვა, მოძღვრის კურთხევის გარეშე ჩემზე რა უნდა დაწეროო?... კურთხევის შემდეგ კი საოცრად ინტელექტუალური მოსაუბრე აღმოჩნდა. საუბარიც შედგა.

–ქალისთვის ოჯახი უმთავრესია, ის როგორც ადამის ნეკნიდან აღებული, ახლოსაა ქმრის გულთან მორჩილებით, სიყვარულით, უპირველესი ადგილიც მას უნდა ჰქონდეს.

დედობა ყველაზე უმთავრესი მისიაა. პირველი სიტყვა ღვთის შესახებ ბავშვს უნდა უთხრას იმან, ვისაც მისი პირველი ღიმილი ეკუთვნის, დედა-შვილს შობს, ჯერ სამყაროს ადამიანს ჩუქნის, შემდეგ კი ზეცას ანგელოზი უნდა მისცეს. მან უნდა იფიქროს შვილების აღზრდაზე, ჩამოყალიბებაზე და მარტო გონებრივ განვითარებაზე, რომ იზრუნოს, მათი შერყვნილი გულის გამოუსწორებლობა ნიშნავს იმას, რომ დახელოვნებულ ბოროტმოქმედს ხელში მჭრელი მახვილი მისცეს, უმეცრებას რელიგიისა და რწმენის გარეშე თავისი სიბრიყვით ნაკლები ბოროტების გაკეთება შეუძლია, ხოლო ულმერთოს მოქნილი, განვითარებული გონება ადამიანთა მოდგმის ჭირიცაა; მას ძალუძს თავზარი დასცეს საზოგადოებას და გადმოაფრქვიოს დამღუპველი შხამი არა-მხოლოდ დღევანდელ, არამედ მომავალ თაობებზე, რისი მაგალითიც სამწუხაროდ, მრავლად არსებობს.

ნინომ თანამედროვე დედებზე და მათ პასუხისმგებლობაზეც ისაუბრა.

ღვთისა და ერის წინაშე შვილები იზრდებიან და მშობლებს შორის ერთსულოვნებას უნდა გრძნობდნენ. არ შეიძლება დედის მოთხოვნა მამამ უარყოს, ერთმა დასაჯოს, მეორე მოეფეროს, ანუ ვითხოვთ დედებო იმას, რასაც თვითონ არ ვაკეთებთ, ვაკეთოთ ის, რასაც მათგან მოვითხოვთ.

მაგრამ მარტო აღზრდაზე და კარგ დედობაზე საუბარი, სამწუხაროდ, არ გვშველის, როცა ჩვილების მუცლად ყოფნის პერიოდში ხდება მათი განადგურება და მოსპობა, მართალია ეკონომიურად უმძიმესი დროა, მაგრამ ჩვენს წინაპრებს უფრო მძიმე დროც გადაუტანიათ და შვილები არ მოუსპიათ, ამას მოუწოდებს თვით პატრიარქი ქართველ დედებს, ქალისთვის შვილთა მსხმოიარობა უდიდესი მადლია ღვთისაგან ბოძებული, ხოლო მათი განადგურება უმძიმესი სასჯელია დედისთვის. უწმინდესის სიტყვები ბევრს აღიზიანებს, მაგრამ კარგ მთქმელს, კარგი გამგონე სჭირდება. პატრიარქის სიტყვები სულიწმიდის მადლითაა გაჯერებული, ისმინოს იმან ვისაც ამის უნარი შესწევს ღვთისაგან.

ნინო ბევრს მესაუბრა წმინდა მამების ცხოვრებაზე, როცა ვკითხე შვიდი შვილის მოვლა, მეურნეობა, საოჯახო საქმეები, მგალობლების მომზადება, როცა თვითონაც გალობ, ამ ყველაფერს როგორ ახერხებ მეთქი? „ღვთის შეწევნით, ლოცვაში თუ ოდნავ მოვდუნდი, მაშინ მიჭირს ყველაფრის გაკეთება, თუ არა და, უფალი მაძლიერებსო"

მალე მერვე შვილს ელოდება, მძიმედ მოძრაობს, მაგრამ თავის საკეთებელ საქმეს ბოლომდე აკეთებს. უფალმა გააძლიეროს გაამხნევოს, ძალა შემატოს სიხარულით და სიყვარულით ეტარებინოს დედობის ღირსეული ჯვარი ქალს-დედას, დიდ დედას, დას, შვილს, ცოლს, სატრფოს, ქალს გაუმარჯოს, სიცოცხლის საწყისს, ქალს საოცრებას.

***ლალი ჭედია.***

## ლამაზი საღამო ქარიატაში

# ეკლესიის მშენებლობა მალე დაიწყება...

სოფელი ქარიატის ისტორია ოფიციალურად დადასტურებული ისტორიული წყაროებით მოხსენიებულია ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე I საუკუნისა და ჩვენი წელთ აღრიცხვის I საუკუნეთა მიჯნების ცნობილი პონტოელი ბერძენი ისტორიკოსის გეოგრაფისა და მოგზაურის სტრაბონის ნაშრომებში.

ცნობილია, რომ თანამედროვე ისტორიკოსთა დიდი ნაწილის დადასტურებული ვარაუდით, მან იმოგზაურა კოლხეთში და სავარაუდოდ მდინარე ხოფის ხეობით შემოვიდა კოლხეთის სიღრმეში. კერძოდ, დღევანდელი ქარიატის მიდამოებშიც. მოგზაურს მოეწონა მდინარის ხეობის სანახები და უწოდა „ქარიანტე,“ რაც მათ ენაზე მშვენიერს ნიშნავს.

კანონზომიერი ენობრივი ცვლილებების შედეგად სიტყვა „ქარიანტესგან“ მივიღეთ „ქარიატა...“ ისტორიულად ცნობილია, რომ ქარიატას მოსახლეობას ბატონი არ ყოლია, ისინი წმინდა გიორგის ყმებად იწოდებოდნენ. სოფელს ქონდა ორი ხის ეკლესია: „პალური“ წმინდა გიორგის და მთავარი ანგელოზების... იმ ადგილს, სადაც ეკლესია იყო, დღესაც „პალურად“ მოიხსენიებენ, ხოლო მის ირგვლივ მდებარე ჭალას, რომელსაც სიმინდის ყანებად გამოიყენებენ, „ხატმუხურს“ ეძახიან.

ცნობილია, რომ სოფელ ქარიატაში არსებობდა წმ. გიორგის სახელობის ეკლესია, რომელიც გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში დაინგრა და მისგან აშენდა ხის სკოლა, დღევანდელი სკოლის ტერიტორიაზე. უეკლესიოდ დარჩენილ სოფელში 1999 წლის 14 სექტემბრიდან გაჩნდა იდეა სამლოცველოს შექმნის შესახებ დეკანოზ ილია ლომაიასთან შეხვედრისას. 2003 წლიდან ფოთისა და ხობის მიტროპოლიტის გრიგოლის ლოცვა-კურთხევით დეკანოზ გიორგი გენძეხაძემ დაიწყო განხორციელება ამ წმინდა საქმისა. ქარიატის საჯარო სკოლაში გამოიყო ოთახი, სადაც დღემდე მღვდელმსახურება მიმდინარეობს. სამლოცველოს გახსნაში დიდი წვლილი მიუძღვის მღვდელ-მონაზონ გიორგი თელიას და მასთან ერთად მთელი სოფლის მოსახლეობას. აღსანიშნავია აწ განსვენებული იმედა ბერიშვილის ღვაწლი, რომელიც მხარში ედგა მამა გიორგის და გვერდიდან არ მოშორებია ამ კეთილშობილური საქმის დაგვირგვინებაში... გამოჩნდნენ ქველმოქმედი ადამიანებიც, პირველი შემომწირველები იყვნენ როლანდ ცხადაიას ოჯახი, იმედა ბერიშვილი და როსტევან გვარამია.

სოფელში სამლოცველოს გახსნის შემდეგ, წმინდა გიორგის შეწევნითა და კეთილი ადამიანების წყალობით ბევრი კარგი საქმე გაკეთდა: რემონტი ჩაუტარდა ქარიატის საჯარო სკოლას, შეკეთდა გაღმა–გამოღმა სოფლებთან დამაკავშირებელი ხიდი, დაინიშნა მიკრო ავტობუსი ქარიატა–ფოთის მიმართულებით...

20 თებერვალს სოფელ ქარიატამ სოფლის კლუბში საქველმოქმედო კონცერტს უმასპინძლა, სადაც მონაწილეობას იღებდნენ როგორც ადგილობრივი ხელოვანები, ისე ხობის მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხადასხვა თემის მომღერალთა და მოცეკვავეთა ანსამბლები: ხეთის მთავარ ანგელოზ მიქაელისა და გაბრიელის სახელობის ტაძრის მგალობელთა გუნდი, ბიის საჯარო სკოლასთან არსებული ფოლკლორული ანსამბლი „თუთარჩელა“ ქეთევან კაკაშვილი, ვარლამ ღადუა, სუსანა არზიანი, ბაია ბერიძე, მარკოზ ქვარცხავა, ზურაბ ჭიჭინაძე, დები სოფიო და ქეთევან გენძაძეები, ნინო შელია, ხობის კულტურის სახლთან არსებული გოგონათა ტრიო „ტატალი,“ გოჩა გურალია, ლიზი სტეფანია, თეა ბაჩილავა, მზია გვირგვლიანი, მოცეკვავეთა ანსამბლი კახა ჩიტაიას ხელმძღვანელობით და სხვები. ღონისძიება მიჰყავდათ ესმა ჟველიასა და ნათია გეგენავას. ღონისძიებაზე შესრულდა საგალობლები, მსმენელისთვის ცნობილი და საყვარელი საესტრადო სიმღერები და ქართული ხალხური ცეკვები.

ქარიატის მოსახლეობის ერთობლივი გადაწყვეტილებით, კონცერტზე დასასწრები ბილეთი 5 ლარად გაიყიდა და შემოსული თანხა ქარიატაში წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის მშენებლობას მოხმარდება.

სოფელში ეკლესიის აშენების იდეის ავტორი ვარლამ (კუსა) ღადუა გახლავთ, ხოლო მუნიციპალიტეტის საკრებულომ და გამგეობამ ტაძრის მშენებლობისათვის მიწის ნაკვეთი გამოყო.



საქველმოქმედო ღონისძიებაზე მოწვეული იყო ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი მეუფე გრიგოლი სასულიერო პირებთან ერთად და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები. ღონისძიებას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავა, გამგებელი გოჩა ქაჯაია, გამგებლის მოადგილეები მახარე ჩოკორაია, ედიშერ ჯობავა და სხვები.

დამსწრე საზოგადოებას მიესალმნენ ჭალადიდის წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის მოძღვარი მამა გიორგი და მუნიციპალიტეტის გამგებელი გოჩა ქაჯაია. მამა გიორგიმ ყველას მიულოცა ეკლესიის აშენების წამოწყება და მადლობა გადაუხადა მეუფე გრიგოლს და ადგილობრივ ხელისუფლებას მობრძანებისთვისა და თანადგომისთვის.

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა გოჩა ქაჯაიამ ყველას სახელით მადლობა გადაუხადა მეუფე გრიგოლს თანადგომისა და სიყვარულისთვის და დასძინა, რომ არამარტო ქარიატაში, არამედ ყველა სოფელში უნდა აშენდეს ეკლესია. გამგებელმა დალოცა ეკლესია, სამღვდელოება, მრევლი და სრულიად საქართველო, ბედნიერება და გამარჯვებულად ცხოვრება უსურვა!

ღონისძიების მიწურულს მეუფე გრიგოლმა დალოცა ტაძრის მშენებლობის იდეისთვის სოფლის მოსახლეობა და სოფლის რწმუნებულს ირაკლი ბერაიას, ჭალადიდის წმინდა ნინოს სახელობის ტაძრის წინამძღვარს მამა გიორგის, ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს ქველმოქმედებისთვის მადლობა გადაუხადა:

–დღეს ჩემი გული სავსეა სიხარულით, აღფრთოვანებული ვარ. ამის არაერთი მიზეზი მაქვს ამ წუთას, პირველი და ძალიან მნიშვნელოვანი არის ის, რომ იწყება პირველი ნაბიჯის გადადგმა ტაძრის მშენებლობისთვის, არაერთი წელია, რაც აქ არსებობს, სამლოცველო სახლი, რომელიც სკოლის შენობაშია, თუმცა ვფიქრობ და დარწმუნებული ვარ, რომ დადგა დრო ტაძრის მშენებლობა დაიწყოს ამ სოფელში და ეს შეკრებაც სწორედ საქველმოქმედო ხასიათს ატარებს, რათა, თუნდაც მწირი შემოწირულობებით პირველი ნაბიჯები გადადგმულიყო. ასე, რომ მეც მოგიწოდებთ თითოეულ თქვენთაგანს, აქტიურად დაუჭიროთ მხარი ამ საქმეს, რადგან დაწყება კარგი ვიცით ხოლმე, მაგრამ შემდეგ გაგრძელებაა ცოტა ძნელი.

ვისურვებდი, რომ დღევანდელი დღის მუხტი გაგვყვეს იმ დრომდე, ვიდრე უკვე აღმართულ ტაძარზე ჯვარი დაიდგმება და ლოცვა-კურთხევა აღევლინება.

ჩემის მხრივ, ამ ტაძრის მშენებლობას არ ვესწრები მხოლოდ როგორც მონაწილე, არამედ როგორც შემომწირველი და ამ საქმის ყულაბაში 1000 ლარს ჩავდებთ. იმედი მაქვს, რომ ისინი, ვისაც მეტი შესაძლებლობა აქვს, ან უფრო ნაკლები, მოგვბაძავენ და მიიღებენ აქტიურ მონაწილეობას, მაგრამ მთავარი შემოწირულობა ამ საქმისთვის არის მონდომება, ეს არის სურვილი ამ დიდი საქმის აღსრულების, ხოლო ფორმა ამ საქმეში მონაწილეობის მრავალფეროვანია, დაწყებული კეთილი სურვილით და გაგრძელებული როგორც ფინანსური შეწირულობებით, ისე ადგილზე პირადად ფიზიკური შრომით თუ იქ საკვების მიტანით და ა.შ.

დღევანდელ დღეს ნამდვილად ძალიან დიდი მიზეზი გვაქვს სიხარულის და განსაკუთრებით მახარებს, რომ ამ სოფლის ტაძრის დაწყებას განსაკუთრებით პოპულარიზაციას უწევენ და ეხმარებიან არამარტო ქარიატელები, არამედ ხობიდან მობრძანებული ადამიანები.

დიახ, სწორად ბრძანა გამგებელმა ბატონმა გოჩამ, თითოეულ სოფელს თავისი ტაძარი უნდა ჰქონდეს. აი, სოფელს რომ ტაძარი ექნება, ეს იგივეა სახლს რომ სახურავი დაეფარება ზემოდან, დაადგება. იმედი მაქვს, ამ დიდ სიხარულს თქვენთან ერთად გავიზიარებ, მექნება ბედნიერება და მინდა თითოეულ თქვენთაგანს, რომელიც დღეს გამოვიდნენ სიმღერით, ლექსით, ყველას ძალიან დიდი მადლობა გითხრათ და მოგეფეროთ. მეც თქვენთან ერთად ვმღეროდი, შეიძლება ითქვას, მეც თქვენთან ერთად ვხტოდი სცენაზე, რადგან გულგრილი არ ვარ და ვერც ვიქნები და მინდა ასევე გამოვთქვა ჩემი განცდა: ის, რაც აქ ვიხილე და მოვისმინე რაოდენ მნიშვნელოვანია, რადგან ამ ყველაფერში, პირდაპირ აღბეჭდილია ჩვენი ხასიათიც, ჩვენი რწმენაც, ჩვენი იმედებიც, ჩვენი სულისკვეთებაც, ჩვენი გამარჯვების ჟინიც და ვფიქრობ, კიდევ უფრო მეტი მხარდაჭერა არის საჭირო არა მხოლოდ ტაძარი აშენდეს (თუმცა ეს ძალიან მნიშვნელოვანია), არამედ, სადაც ჩვენს შვილებს, შვილიშვილებს საშუალება ექნებათ ეზიარონ ქართულ კულტურას, ქართულ ხელოვნებას, სილამაზეს და მშვენიერებას, რადგან ამის გარეშე რა თქმა უნდა ძალიან ნაკლული არის ადამიანი, ყველა ადამიანის ხელოვნება, შემოქმედება ასახავს იმ ხალხის, იმ ერის, იმ ტომის კულტურას, მის ხასიათს, მის რწმენას და რა თქმა უნდა, არც ქართველი ხალხია გამონაკლისი... გეფერებით და ძალიან მიყვარხართ!–ბრძანა მეუფე გრიგოლმა.

კონცერტის დასასრულს, მონაწილეებმა ერთობლივად შეასრულეს ჰიმნი სამეგრელოზე.

მართლაც რომ განსაკუთრებული და გამორჩეული დღე იყო 20 თებერვალი ქარიატელებისთვის, რადგან ამ დღეს მათ სიხარულით ახარეს: „გიხაროდენ! ქარიატაში ეკლესიის მშენებლობა დაიწყება!..“

***ნანა კემულარია.***

# ფოლკლორის საღამო მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში...

ხალხური და მათ შორის ჩვენი კუთხის ლექსები, გამოცანები, შაირები, ენის გასატეხები თუ ანდაზები საუკუნეების მანძილზე იხვეწებოდა, იძენდა უფრო და უფრო ლამაზ ფორმას და შინაარსს, მათ ქმნიდნენ იმ მიზნით, რომ მომავალი თაობებისთვის ლამაზი ფორმით მიეწოდებინათ თავიანთი შეხედულებანი ცხოვრებაზე, ჩაენერგათ ქართული ზნეობა, რათა პატარა ქართველები დიდ ქართველებად აღეზარდათ.



სამეგრელოში შექმნილი ხალხური ლექსები თემატურად მრავალფეროვანია, პატრიოტული, სატრფიალო, წუთისოფელი, საწესჩვეულებო, სამონადირეო, სატირა, იუმორი და მრავალი სხვა.

14 თებერვალს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში, ამ სახლთან არსებული გამომეტყველებითი კითხვისა და ფოლკლორის წრის მოსწავლეების მონაწილეობით მეგრული ფოლკლორის საღამო გაიმართა, რომლის ორგანიზატორი გახლდათ წრის ხელმძღვანელი მაია კუჭავა. მონაწილეები მთელი მონდომებით ემზადებოდნენ სცენაზე გამოსასვლელად...

საღამოს მიზანი გახლდათ მეგრული ფოლკლორის პოპულარიზაცია და მათ ეს შეძლეს, ლამაზი ღონისძიებებით დაუვიწყარი საღამო გვაჩუქეს.

ღონისძიებაზე მოწვეული იყო ბიის საჯარო სკოლის ფოლკლორული ანსამბლი „თუთარჩელა“ (ხელმძღვანელი მზია გვირგვლიანი, სკოლის დირექტორი ნანა თირქია).

ქალბატონმა მზიამ დიდი სიყვარულით, მონდომებითა და პასუხისმგებლობით მისხალ-მისხალ აგროვა ის, რაც მშობლიური და ჩვენეულია, ეფერა და ელოლიავა, გამოძერწა ის მშვენიერება, რომელსაც მეგრული სიმღერის სიყვარული ჰქვია, ის გოგონები, რომლებთანაც ერთად ქალბატონი მზია გვეწვია, ანსამბლის მე-8 თაობაა, ხალხური სიმღერები და ხალხური საკრავი–ჩონგური ქალბატონი მზიას სულის ნაწილია,–გვითხრა საუბარში ღონისძიების ორგანიზატორმა მაია კუჭავამ.

მართლაც, რომ ანსამბლმა „თუთარჩელამ“ ღონისძიებას უფრო მეტი სილამაზე შესძინა და მაყურებელი მათ მიერ შესრულებული საგალობლებითა და მეგრული სიმღერებით დაგვატკბო...

ღონისძიებას ყველაზე პატარა მონაწილე 5 წლის ელენე ჯობავა ყავდა, რომელიც მთელი ოსტატობით კითხულობდა მისთვის განკუთვნილ ლექსს...

ღონისძიების დასასრულს, ქალბატონმა მაიამ მადლობა გადაუხადა თითოეულ სტუმარს მობრძანებისთვის და დასძინა, რომ „სამეგრელოში შემონახული ხალხური შემოქმედების ნიმუშები მრავალფეროვანი და მდიდარია. აქ წარმოდგენილი მასალა უმცირესი ნაწილია იმ ზღვა მასალისა, რომელიც ჟამთასვლას გამოჰყოლია, მათი მოძიება–შეკრების საქმეში გაწეული თანადგომისა და დახმარებისათვის მინდა უღრმესი მადლობა გადავუხადო ქალბატონებს მანანა შულაიას, ნორა იოსავას, ეკა ბასილაიას, ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ჩემს მოსწავლეებს, მათ მშობლებს, ქალბატონ მზია გვირგვლიანსა და მისი ანსამბლის გოგონებს.

...ამდენად, ხობის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი მსგავსი ღონისძიებებით ყოველთვის ცდილობს თავისი სიტყვა თქვას!

წარმატებებს გისურვებთ!

***ნანა კემულარია.***

## კოლეგა



**ჩვენი კოლეგა-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის გაზეთის რედაქტორი ბატონი მურთაზ კანკაძე ამასწინათ 70 წლის გახდა. ჩვენი გაზეთის რედაქციის თანამშრომლები ვულოცავთ ჩვენს კოლეგას დაბადების დღეს.**

**გარდა რედაქციელების მეგობრობისა, ბატონი მურთაზი ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ პირველი ხორგის ღირსეული სიძე, მეგობარი, ჭირისა და ლხინის მოზიარეა...**

**გილოცავთ ბატონო მურთაზ! ცხოვრებით ტკბობას, დიდი ხნის ჯანმრთელ და ბედნიერ სიცოცხლეს გისურვებთ.**

**ამჯერად ვბეჭდავთ ბატონ ივანე ჯაფარიძის სტატიას, რომელიც მურთაზ კანკაძის ახალი წიგნის მიმოხილვაა.**

### ივანე ჯაფარიძე

# „და პოეზია დიდი ტკივილი, თავქვეშ ნისლივით მიდევს სასთუმლად“

იგი ჩემი თაობის კაცია. ერთ ეპოქაში ვცხოვრობდით, მაგრამ აქამდე არ ვიცნობდი, ჩვენი გზები არსად გადაკვეთილა, თუმცა, საზოგადოებრივ საქმიანობაშიც არ ვყოფილვართ გულხელდაკრეფილნი. ცხოვრების პირობებიც დაახლოებით ერთნაირი გვქონია. მერე რა, რომ ის წყალტუბოში ცხოვრობდა, მე–თბილისში.

ჩვენი ცხოვრების გზა წესიერი, მართალი კაცის გზა იყო და ოდესმე უთუოდ უნდა შევხვედროდით ერთმანეთს...

2010 წლის 16 ივნისს, ოტია იოსელიანის დაბადების 80 წლისთავის საიუბილეო საღამოზე, ჩემმა უახლოესმა მეგობარმა, ცნობილმა ჟურნალისტმა და სპელეოლოგმა, ამჟამად „პრომეთედ“ სახელდებული წყალტუბოს მღვიმის აღმომჩენმა ჯუმბერ ჯიშკარიანმა შორიდან დამანახა საშუალო ტანის, თმაშეთხელებული, ხმელი კაცი და მითხრა:

–თითქმის სამი ათეული წელია, წყალტუბოში გამომავალი ერთადერთი გაზეთის რედაქტორია, გაჭირვების მიუხედავად, მაინც ღირსეულად ცდილობს, გაზეთი არ დაიხუროს, შემოწირულობებითა და კეთილი ხალხის დახმარებით ასულდგმულებს რაიონის მემატიანეს, ბევრად უფრო მდიდარ რაიონებს შეშურდებათ ამ გაზეთის ლიტერატურული დონე და მასშტაბები.

–პატრიოტი კაცი ყოფილა, ასეთმა კაცებმა მოიტანეს დღემდე საქართველო მეთქი–დავუბრუნე სიტყვა მეგობარს.

ზუსტად ერთი წლის შემდეგ კვლავ მოვხვდი წყალტუბოში. ისევ ბატონმა ოტიამ მოგვიყარა თავი მთელი საქართველოდან მწერლებსა და მწერლობაზე შეყვარებულ ხალხს. დიდი მწერლის დანაკლისის განცდამ შეგვკრიბა ყველანი გელათის დიდებულ ტაძარში. წყალტუბოში, თავის სახლამდე და უკანასკნელ განსასვენებლამდე ყველამ ერთად მივაცილეთ ჩვენი დროის დიდი მწერალი. არც აქ ჩამომირთმევია ხელი ბატონი მურთაზისთვის...

და მაინც შევხვდით ერთმანეთს...

დედაქალაქში, პირველ ექსპერიმენტალურ საჯარო სკოლაში შეხვედრას უწყობდნენ ჩემთან მეგობრობის „ნახევარსაუკუნოვანი სტაჟის“ მქონე „იმედის გმირს“ ჯუმბერ ჯიშკარიანს. სკოლას, პედაგოგ–მოსწავლეთა მოწვევით, წყალტუბოელების სოლიდური დელეგაცია ეწვია, რომელთა შორის საპატიო სტუმარი ბატონი მურთაზ კანკაძეც ბრძანდებოდა.

„იმედის გმირმა“ წყალტუბოს გმირი სწორედ აქ, ამ შეხვედრაზე გამაცნო, ჩვენი მომავალი მეგობრობის საწინდრად, ბატონ მურთაზს ჩემი ახლადგამოცემული წიგნი „მყინვარწვერიდან ევერესტამდე“ ვუსახსოვრე რწმენით, რომ აუცილებლად დავმეგობრდებოდით. საფუძველი უკვე ჩაყრილი იყო...

ბატონი მურთაზი მშვენიერი სიტყვით მიესალმა სკოლასაც და „იმედის გმირსაც“, რომელსაც ათწლეულებია იცნობს და დიდად აფასებს წყალტუბოსა და ქვეყნის მიმართ მის განსაკუთრებულ ღვაწლს.

თბილისის პირველი ექსპერიმენტალური საჯარო სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა შეხვედრას „იმედის გმირთან“–ჯუმბერ ჯიშკარიანთან შესანიშნავი წერილით გამოეხმაურა ბატონი მურთაზი თვის გაზეთში „ახალი წყალტუბო“. ცოტა ხნის შემდეგ კი თბილისში ჩამოსულმა რედაქტორმა, ეს ნომერი საჩუქრად მოგვართვა მე და ჯუმბერს.

ჯუმბერ ჯიშკარიანმა, როგორც მას ჩვევია, ბატონი მურთაზი ოჯახურ სადილზე მიიწვია და მანაც თავისი ლამაზად გაფორმებული ახალი პოეტური კრებული ავტორისეული წარწერით გვისახსოვრა.

მურთაზ კანკაძე–„ჩემი მწვერვალი მიმელის მაღლა“–ეწერა გარეკანზე. მწვერვალების ფონზე მიწერილმა წიგნის სათაურმა, მწვერვალებისადმი ჩემი განსაკუთრებული დამოკიდებულების გამო, ბუნებრივია მიმიზიდა და წიგნის კითხვა განსაკუთრებული ინტერესით დავიწყე.

ყველაზე მეტად რამაც მომხიბლა ის იყო, რომ პირველივე სტრიქონიდან დავინახე მისი ნიჭიერება, გრძნობათა სიწმინდე და გულწრფელობა.

ძალზე ძნელია პოეზიის ქვეყანაში პოეტსა და პოეზიაზე რაიმე ახალი თქვა, მაგრამ ერთის თქმა თამამად შეიძლება–ლექსის მწერალ კაცს საკუთარი სახე და ხელწერა რომ გააჩნია, იგი უკვე პოეტია. ხოლო პოეტის ლექსებიდან თუ რამდენიმე სტროფი გულში მოგხვდება და სამუდამოდ დაგამახსოვრდება, კარგი პოეტია. მურთაზ კანკაძის ლექსებიდან კი მრავალი სტროფი და პოეტური ფრაზაა გულში მოსახვედრი, დასამახსოვრებელი, საყურადღებო და დაუვიწყარი.

განა პოეტის ცხოვრებისეული კრედო, საოცარი განცდა და პოეზიის რაობა არ არის გადმოცემული ლექსში „ავტოგრაფი“?

*„მე მჯერა ჯერ არ მითქვამს*
*ჩემი სათქმელი,*
*ან რა მაქვს ქვეყნად დასაფარავი,*
*მწვანე ოცნების გრილიანდებით*
*სავსეა სულის ფართო კარავი.*
*აბოლქვებულა ფიქრი კვამლივით,*
*სულის წვიმისა და შფოთვის*
*დასტურად*
*და პოეზია–დიდი ტკივილი,*
*თავქვეშ ნისლივით მიდევს*
*სასთუმლად“.*

ვფიქრობ, სწორედ ამ ლექსშია განივთებული მურთაზ კანკაძის სული. ეს სტრიქონები, მართლაც, მისი ავტოგრაფია, რომელშიც სრულად და მკაფიოდ იკვეთება მართალი კაცის მრწამსი და საინტერესო პოეტური სახე.

მურთაზ კანკაძის ადრინდელი პოეტური კრებულის „აღმართის“ შესახებ, ჟურნალ „განთიადის“ 1995 წლის №3,4-ში გამოქვეყნებულ გამოხმაურებაში, მწერალი და ხელოვნებათმცოდნე სერგო ჭეიშვილი წერდა: „რა გვხიბლავს ამ პატარა წიგნში? პირველ ყოვლისა, უშუალობა და ბუნებრიობა. კრებულის ავტორი არ ცდილობს თავის წარმოადგინოს მსოფლიო ოკეანეში გოლიათებზე მონადირე ინტელექტუალურ ზეკაცად. ის ქართული პოეზიის ანკარა მდინარეში ჩამდგარა მუხლებამდე და ანკესის თითქმის ყოველ ამოგდებაზე ბროლივით სუფთა მორევიდან ფერადფერადი ვარსკვლავებით დაწინწკლული კალმახები ამოჰყავს“

მართლს ბრძანებს ბატონი სერგო ჭეიშვილი. ვინც მურთაზ კანკაძის ახალ წიგნს „ჩემი მწვერვალი მიმელის მაღლა“ წაიკითხავს, არ შეიძლება მოხიბლული და აღტაცებული არ დარჩეს პოეტის გულწრფელობით, თანამოძმისადმი დიდი სიყვარულით, საოცარი სიკეთითა და კეთილშობილებით, რაც მის ყოველ სტრიქონში იგრძნობა.

მურთაზ კანკაძის ახალ პოეტურ კრებულში თითქმის ვერ ნახავთ სტროფს, სადაც სიტყვას თავისი ადგილი არ ეჭიროს, გაუაზრებლად, ან მხოლოდ რითმისათვის იყოს ჩასმული (რასაც, სამწუხაროდ, ხშირად მიმართავენ თანამედროვე პოეტები), მას ყოველ სტროფსა და სტრიქონში, საკუთარი გრძნობისა და გონების ქურაში გამოტარებული აზრი სადად, მარტივად, გასაგებად, დასაფიქრებლად და გასააზრებლად მიაქვს მკითხველამდე.

ქართულ მწერლობაში იშვიათად შეხვდებით პოეტს, ვისაც ისეთი სრულყოფილებით ჰქონდეს გადმოცემული ქართული სოფლის კოლორიტი პოეზიაში, როგორც მურთაზ კანკაძეს. იგი, მართლაც, მხატვრის მახვილი თვალით ხედავს და დიდოსტატურად აღწერს სოფლის დაუვიწყარ სურათებს, იმ თბილ გარემოს, რომლის ფასს ვერ გაიგებს ის კაცი, ვისთვისაც უცხოა თივისა და აჩეხილი ჩალის სურნელი, ვინც არ იცის კევრით გალეწილი ხორბლის ფასი და მისგან თონეში გამომცხვარი პურის გემო, ვისაც ერთი დღე მაინც არ გაუტარებია უღელში შებმულ ხარკამეჩთან ხვნა-თესვისას და ტყიდან გამოტანილი შეშით დატვირთული მოჭრიალე ურმის წინამძღოლად.

ეს ყველაფერი განცდილი აქვს ბატონ მურთაზს, ნაზიარებია ამ სამყაროსთან და ამიტომაა კეთილმოსაგონარი, ამაღლებული და ფერადოვანი ამ თემასთან დაკავშირებული მისი ყველა სტროფი.

„სოფლის საღამო“ დაურქმევია ლექსისათვის ავტორს და ისეთ სურათს ხატავს, მუდამ თან რომ გდევს, როგორც სულის განუყოფელი ნაწილი:

*„სჯობია ყველა ფერს და სუნამოს*
*მზით დაფერილი საღამო სოფლის,*
*სადაც გამრჯე ხელს ასდის*
*სურნელი,*
*შეზავებული მიწით და ოფლით“.*

ბატონი მურთაზი რომ ჭეშმარიტი პოეტი ბრძანდება, ეს მისი ყოველი ლექსის სტრიქონში ჩანს და ნიშანდობლივია, რომ ასაკის მიუხედავად, გაზაფხულის მობრძანება კვლავ უხქროლებს გულს და ახალგაზრდული განცდით სავსე იღებს ხელში კალამს.

„გაზაფხული“ დაურქმევია ლექსისათვის პოეტს, რომლის წაკითხვის შემდეგ მართლაც გაზაფხულის სითბო ისადგურებს მკითხველის გულში:

*„ერქინება სივრცეს მოზვერები,*
*ბევრი დამდგარა უკვე სახარე...*
*და გაზაფხულის ანგელოზებმა*
*თბილ ხნულებს ფრთები*
*გადააფარეს.*
*ეფიცხებიან მზეს მოხუცები,-*
*კბილებში ჩიბუხგამოჩრილები*
*და ჭრიჭინების ჭრელ მუსიკაზე*
*ფერხულს ცეკვავენ ხეთა*
*ჩრდილები“.*

მურთაზ კანკაძეს წიგნში „ჩემი მწვერვალი მიმელის მაღლა“, მართლაც, პოეტურად აქვს დასათაურებული თავები. „აღმართისაკენ“ მიმავალი „ლექსის ბწკარებად დაწურული“ პოეტი, ბუნებრივია, გზადაგზა „ადრე წასულთა სილუეტებსაც“ ხედავს და ახლობელთა სულის მოსახსენიებელ სტრიქონებსაც თხზავს. ცოცხლებსაც მიაგებს პატივს და თავის მოწიწებასა თუ პატივისცემასაც შესაფერისად გამოხატავს.

შეუძლებელია გულწრფელი აღტაცება არ გამოხატო მურთაზ კანკაძის მიძღვნითი ლექსების მიმართ, სადაც ავტორი ახერხებს ზუსტად მიანიშნოს თავისი დამოკიდებულება იმ პიროვნებების მიმართ, ვინც ღირსებით გამორჩეული და მამულისათვის დამაშვრალია. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით გამოვყოფ ჩემთვის ახლობელი ადამიანებისადმი მიძღვნილ ლექსებს. ლექსი „სიმართლის დროშა ძირს არ დახაროთ!“ ოტია იოსელიანს ეძღვნება და არ გვიკვირს პოეტის დამოკიდებულება დიდი მწერლის მიმართ, რადგან იგი შესანიშნავად იცნობს, როგორც მწერალს, ისე მის ნაწარმოებებს:

*„წერთ სულის თრთოლვით*
*და რუდუნებით,*
*თქვენი კალამი ქების ღირსია,*
*ერთხელ შეიბით ხმალი ქომაგის*
*და მერე აღარ შემოგიხსნიათ“.*

ასევე დიდებულია ლექსი „გჯეროდეთ!“, რომელიც სათნო, პირმშვენიერ ქალბატონსა და დიდებულ მოღვაწეს, რეზო თაბუკაშვილის სახელობის ხარაგაულის ერთი მსახიობის თეატრის დამაარსებელს, ავტორს, მსახიობსა და რეჟისორს იზა ვეფხვაძეს ეძღვნება, რომელმაც ბოლო წლებში შექმნილი საკუთარი სპექტაკლებით უკვდავი ძეგლი აუგო დიდ ქართველ მოღვაწეებს: ოტია იოსელიანს, გურამ რჩეულიშვილს, რეზო თაბუკაშვილს, გურამ დოჩანაშვილს, მერაბ კოსტავას, გოდერძი ჩოხელს და ა.შ. საოცარი სითბო, სიყვარული და პატივისცემა იგრძნობა ბატონი მურთაზის ამ სტრიქონებში:

*„მოკრძალებულად გიცქერთ, თქვენს*
*ქებას როგორ გავბედავ,*
*ღმერთმა ყოველმხრივ შეგამკოთ*
*და კალთა გადმოგაბერტყათ.*
*საქმეშიც ვინ შეგედრებათ ასეთ*
*სათნოს და ეშხიანს,*
*უფლისგან მომადლებული ყველა*
*სიკეთე თქვენშია!“*

პოეტი არც ბავშვებს ტოვებს უყურადღებოდ, მშვენიერ ლექსებს უძღვნის მათ და ეს არცაა გასაკვირი შვიდი შვილიშვილის ბაბუასაგან, ის ხომ თავის ნაშიერს მსუყე სულიერ საზრდოს აძლევს და სამომავლო საგზალსაც დიდი რუდუნებით უმზადებს.

არ შეიძლება არ ითქვას ბატონი მურთაზის მიერ უცხოელ პოეტთა თარგმანების შესახებ. მნიშვნელოვანი და საინტერესოა მისი მეგობრისა და ლექსების მთარგმნელის, სანკტ-პეტერბურგელი პოეტის ლიდია სლუცკაიას ლექსის „წყალტუბოს“ თარგმანი, რომელსაც მურთაზ კანკაძემ ქართული სული შთაბერა. აი, ამ ლექსის პირველი სტროფი:

*„კვლავ დავუბრუნდი წმინდა*
*ადგილებს,*
*დღეა ნათელი, ვით მოჩვენება*
*და ქალწულივით მჩუქნის*
*განცხრომას*
*შენი ჭაღარა მთების მშვენება“.*

არც მეგობარ პოეტებს: ლიდია სლუცკაიას, ალექსეი მარკოვს, ნიკოლოზ ლისიცკის დავიწყებიათ რაინდული სულის ქართველი პოეტის მურთაზ კანკაძის შემოქმედება და მისი ლექსები პუშკინის ენაზე აამეტყველეს.

მურთაზ კანკაძის პიროვნული ხიბლისა და კაცურკაცობის გამომხატველია მისადმი მიძღვნილი ლექსები, რომლებშიც კარგად იკვეთება ავტორების დამოკიდებულება მათთვის საყვარელი მეგობრისა და პოეტის მიმართ. დიდი სითბოთია გამთბარი ვანო ძაგნიძის, შორენა ებრალიძის, ლოლა ცერცვაძის, ლამარა კვერნაძის, ელენე ჩანტლაძე-გუბელაძის, ხათუნა ზაქარიაძის, ზურაბ კახიძისა და სხვათა მურთაზ კანკაძისადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონები, თვით პოეტის ზნეობრივი კრედო, ადამიანთა ცხოვრების არსის რაობა და მოქალაქეობრივი მრწამსი კი შესანიშნავადაა ჩამოყალიბებული ამ სტრიქონებში:

*„ადამიანი განტოლებაა,*
*იქნებ ამოხსნა ბევრი წვალებით;,*
*ადამიანი გამოცანაა*
*ხასიათების ფერიცვალებით;*
*ადამიანი განძია დიდი,*
*ცხოვრების ტალღა ვერსად*
*გარიყავს,*
*მაგრამ ვაი, მას, თუ იგი ფლიდობს*
*და ხურდავდება კაპიკ-კაპიკად“.*

ბოლოს, არ შეიძლება არ ითქვას ბატონი მურთაზ კანკაძის პიროვნულ თვისებებსა და სამშობლოსადმი მისი დამოკიდებულების შესახებ, მარტო ის ფაქტი, რომ იგი 30 წელია გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ უდგას სათავეში და მისი რედაქტორია, თავისთავად მეტყველებს მის ერთგულებაზე არა მხოლოდ საყვარელი საქმის, არამედ, უპირველეს ყოვლისა, თავისი თანაქალაქელებისა და ზოგადად, საკუთარი ქვეყნის მიმართ. ესაა კაცი, რომელმაც მძიმე ჯვარი იტვირთა და პირნათლად, უმწიკვლოდ, თავგანწირვით ემზადება მისი მაღალი მწვერვალებისაკენ, საიდანაც მშვენივრად მოჩანს მის მიერ სუფთად განვლილი ცხოვრების დიდი გზა და ის ადამიანები, ვინც პირუთვნელად აფასებს დიდებული პოეტის ნიჭიერებას, მხატვრის, მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის რუდუნებას სანუკვარი ქვეყნის წინსვლა-განვითარებისათვის, უანგარო დამოკიდებულებას რაიონში გამომავალი ერთადერთი და არაჩვეულებრივი გაზეთი „ახალი წყალტუბოს“ მიმართ, რომელიც, შეიძლება ითქვას, მისი ღირსების სავიზიტო ბარათსაც წარმოადგენს.

ღმერთმა წყალობა არ მოუშალოს დიდ მამულიშვილს–ბატონ მურთაზ კანკაძეს. ჩვენ კი მისი რედაქტორობით გამომავალი გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ მკითხველებს არ მოგვკლებოდეს მისი სიკეთითა და მეგობრობით მონიჭებული სიამოვნება, რადგან მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ:

*„ხალხი ბრძენი და შეუმცდარია,*
*სოფელმა იცის კარგი ყმის ყადრი.“*

(იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.რედ.)

## ბლიც ინტერვიუ

***ლავრენტ, ცოტა რამ თქვენს შესახებ...***

–დავიბადე 1974 წლის 4 ივნისს ქ. ხობში. დავამთავრე ხობის №1 საშუალო სკოლა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჩავირიცხე სოხუმის მენეჯერების ინსტიტუტში აგრობიზნესის ფაკულტეტზე. სხვადასხვა წლებში ვმუშაობდი საქართველოს ანტიმონოპოლიური სამსახურის ქვემო ქართლის რეგიონალური სამსახურის მომხმარებელთა უფლებების დაცვის განყოფილების სპეციალისტად, სამართლიანი არჩევნების სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ, სამეგრელოსა და ქვემო ქართლის კოორდინატორად, ვიყავი ქ. რუსთავის პირველი მოწვევის საკრებულოს უმრავლესობის ლიდერი და საფინანსო კომისიის თავმჯდომარე. ვმუშაობდი სააქციო საზოგადოება რუსთავგაზის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსად, ს-ს რელაფის მთავარ ეკონომისტად და ეკონომიკური სამსახურის უფროსად. შპს რუსთავტრანსის ინჟინრად, 2006 წელს ამირჩიეს და დღემდე ვმუშაობ საქართველოს ტრანსპორტისა და გზების მუშაკთა პროფესიული კავშირის პრეზიდენტად.



მყავს მეუღლე გულიკა გრიგოლაია-ალანია, რომელიც მუშაობს ქ. თბილისის მერიის შესყიდვების დეპარტამენტის წამყვან სპეციალისტად და 2 წლის ვაჟი გიორგი.

***გვიამბეთ თქვენი სამსახურის ფუნქცია-მოვალეობებზე, რამდენად განიჭებთ თქვენი საქმიანობა სიამოვნებას?***

–გვევალება დასაქმებული ადამიანების უფლებების დაცვა... ჩემთვის სიამოვნებაა, როცა ადამიანს დახმარებას ვუწევ პრობლემების გადაჭრაში და ჩვენგან კმაყოფილი, გაბრწყინებული სახით მიდის.

***როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?***

–ჩემთვის დღე დილის 7 საათიდან იწყება. ამ დროს ვემზადები სამსახურში წასასვლელად. სამსახურში მისული ვეცნობი უახლეს პრესას, მიმოვიხილავ თუ რა მდგომარეობაა საქართველოში. 10 საათიდან კი მოვიკითხავ რა ვითარებაა რეგიონებში ჩვენი სამსახურის კუთხით... და მაინც, ყოველ დღე განსხვავებულია ერთმანეთისგან, ერთფეროვნება არ არსებობს...

***საკუთარ თავში რა მოგწონთ? ერთი სიტყვით დაგვიხასიათეთ საკუთარი თავი...***

–მომწონს ის, რომ ვარ ინტერესიანი. არ არსებობს საქმე, რომელიც ჩემთვის დაბრკოლებას წარმოადგენდეს... ვარ მეგობრული, საქმისადმი ერთგული, ხალისიანი, ამასთანავე, პატივმოყვარეც...

**რა გიქმნით ბედნიერებას?**

–ბედნიერებას მიქმნის ის საქმე, რომელსაც ვემსახურები. ძალიან მიყვარს ჩემი სამსახური და მსიამოვნებს ადამიანების დახმარება. და რა თქმა უნდა, ბედნიერებას მგვრის ჩემი ოჯახი. ბედნიერი ვარ, როცა გარშემომყოფები კარგად არიან. ბედნიერებაა თუნდაც ის, რომ სამსახურიდან რაც არ უნდა დაღლილი მოვიდე, ოჯახში მხვდება მყუდრო გარემო...

***იდეალი თუ გყავთ, ვისაც ცდილობთ მიბაძოთ ცხოვრებაში?***

–ჩემი იდეალი, რომელმაც ჩემს დღევანდელ გარემოებაზე, ჩემს კარგად ყოფნაზე დიდი გავლენა მოახდინა, გახლდათ ჩემი ბიძაშვილი ნოდარი ალანია, რომელიც, სამწუხაროდ, დღეს ჩვენს შორის აღარ არის, მაგრამ ჩემი თითოეული წინგადადგმული ნაბიჯით ვცდილობ მას მივბაძო.

# „ხობელობა ჩემთვის დიდი პატივია"

***ფრაზა ან სიტყვა, რომელსაც ხშირად ამბობთ?***

–პატივცემულო... (იცინის).

***ადამიანში ყველაზე მეტად რა თვისება მოგწონთ?***

–ერთგულება, სამართლიანობა...

***რა არის თქვენი ბავშვობისდროინდელი ოცნება?***

–ისეთი განსაკუთრებული ოცნება არ მქონია. მაგრამ დღევანდელი ჩემი დიდი ოცნებაა, უმწეო ადამიანები არ არსებობდნენ, ყველა იყოს დალხენილი, ყველა ბავშვს ქონდეს თბილი კერა და რაც მნიშვნელოვანია, არ იყოს ომი.

***ქვეყანა, სადაც იცხოვრებდით?***

–თუ დამიჯერებთ, საქართველოს გარდა არსად არ მსურს ცხოვრება. ბევრ ქვეყანაში ვარ ნამყოფი, მაგრამ საქართველოსნაირი ლამაზი არსად არაფერი მინახავს. საქართველო მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა, მადლით სავსე ქვეყანა, სადაც მუდამ ურთიერთსიყვარული, ერთმანეთისადმი თანადგომა სუფევს.

***რას ნიშნავს თქვენთვის ხობელობა?***

–მე ხობელი ვარ–ლავრენტი ალანია. ჩემი მშობლები იქ ცხოვრობენ. ხობელობა ჩემთვის დიდი პატივია და ძალიან ბევრს ნიშნავს ჩემთვის. სადაც არ უნდა ვიმყოფებოდე, ჩემი ხობი და ხობელები ყოველთვის მახსოვს და მენატრება. ჩემი ყოველი წინგადაგმული ნაბიჯი, როგორც ჩემი ოჯახისთვის, ისე ხობელებისთვის მინდა საამაყო იყოს.

***მოდით, თქვენი სამომავლო გეგმები გაგვაცანით...***

–როგორც გითხარით, ჩემი საქმიანობით კმაყოფილი ვარ, მაგრამ იმდენად აქტიური ადამიანი ვარ, რომ ვეცდები უფრო ფართო მასშტაბით და უფრო სხვა კუთხით დავენახო ხობს და ხობელებს...

**წარმატებებს გისურვებთ!**

–დიდი მადლობა, თქვენც ასევე.

**ესაუბრა ნანა კემულარია.**

## სოფლის მეურნეობა

### სიმინდის ჰიბრიდის თესვა-მოყვანის ტექნოლოგია დასავლეთ საქართველოსათვის.

**რეკომენდირებული ჰიბრიდული ჯიშები („ლომთაგორა-1", „ლომთაგორა-2" ,ფრანგული ჯიში AS 13543)**



| № | ჩასატარებელი ღონისძიება | ჩატარების დრო |
|---|---|---|
| 1 | რთული კომპლექსური სასუქების (ამოფოსკა, ამოფოსი,სუპერფოსი,ან სხვა) ნიადაგში შეტანა მოხვნის ან სიმინდის თესვის დროს. შესატანი საკვები ნივთიერებების სავარაუდო დოზებია: აზოტი(160-180)კგ/ჰა; ფოსფორი(100-120)კგ/ჰა; კალიუმი(45-60)კგ/ჰა; | თებერვალი, მარტი,აპრილი |
| 2 | ნიადაგის დამუშავება. დასავლეთ საქართველოს რთულ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში სიმინდისთვის ნიადაგი იხვნება ცალკეული ზონისთვის რეკომენდებული წესით,ნიადაგის თვისებების,წინამორბედი კულტურის თავისებურებების და ნიადაგის დაცვის ღონისძიებების გათვალისწინებით შემდეგ ვადებში: კოლხეთის დაბლობის შემაღლებულ ნაწილში შემოდგომით ან ზამთარში,კოლხეთის დაბლობის ძირითად ნაწილში ზამთრის ბოლოს ან ადრე გაზაფხულზე მინდორში გასვლის პირველი შესაძლებლობისთანავე. ამავე დროს იხვნება დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ეწერი და ეროზიასაშიში ნიადაგები. ალუვიური ნიადაგები უნდა მოიხნას 25-27სმ. სიღრმეზე,ხოლო ეწერი და მცირე სიღრმის ნიადაგები ჰუმუსოვანი ფენის მთელ სიღრმეზე,ბელტის გადაუბრუნებლად და სახნავი ფენის თანდათან დაღრმავებით. | თებერვალი, მარტი,აპრილი |
| 3 | ნიადაგის თესვისთვის მომზადება ტარდება დიფერენცირებულად,ხნულის მდგომარეობის გათვალისწინებით. ბელტიანი ხნული შეშრობისთანავე უნდა დამუშავდეს (დაიჭრას) მძიმე დისკოებიანი ფარცხით მცირე ზომის ბელტებად, რომლებიც ადვილად შრება და მცირე ნალექის ზემოქმედებითაც კი მთლიანად სველდება და გაშრობის შემდეგ ადვილად ფხვიერდება. ნიადაგის დაჯდომის შემთხვევაში გაზაფხულზე საჭიროა ხნულის აოშვა საოში გუთნით 12-15სმ სიღრმეზე და შემდეგ კულტივაცია. თესვის წინ ხნულის ზედაპირის მდგომარეობის გათვალისწინებით ნიადაგი უნდა დამუშავდეს მძიმე დისკოებიანი ფარცხით ზიგ-ზაგთან ერთად ან დაიფრეზოს. | აპრილი |
| 4 | თესვა უნდა ჩატარდეს 75სმ მწკრივთაშორისებით. მწკრივებს შორის მანძილის გაზრდით იზრდება გარე ეფექტი და მცირდება სატრაქტორო სამუშაოების ჩატარების დროს ტექნიკის მოძრაობით გამოწვეული ნათესის დაზიანების პროცენტი. ორივე ჰიბრიდისათვის დგომის ოპტიმალური სიხშირეა,როცა მოსავლის აღების დროს შენარჩუნებულია 50-55ათასი მცენარე ჰექტარზე. ამ სიხშირის მისაღწევად ერთ ჰა-ზე უნდა დაითესოს 72-75ათასი მარცვალი. თესვის დროს მწკრივებში მარცვლებს შორის მანძილი უნდა იყოს 18-19 სმ. თესვასთან ერთად ნიადაგში უნდა შევიტანოთ 100 კგ. ამონიუმის გვარჯილა. ნიადაგის მავნებლებისაგან (მახრა,მავთულა ჭია და სხვ.)ნათესის დაზიანების | აპრილი,15მაისი |

| № | ჩასატარებელი ღონისძიება | ჩატარების დრო |
|---|---|---|
| 1 | რთული კომპლექსური სასუქების (ამოფოსკა, ამოფოსი,სუპერფოსი,ან სხვა) ნიადაგში შეტანა მოხვნის ან სიმინდის თესვის დროს. შესატანი საკვები ნივთიერებების სავარაუდო დოზებია: აზოტი(160-180)კგ/ჰა; ფოსფორი(100-120)კგ/ჰა; კალიუმი(45-60)კგ/ჰა; | თებერვალი, მარტი,აპრილი |
| 2 | ნიადაგის დამუშავება. დასავლეთ საქართველოს რთულ ნიადაგურ-კლიმატურ პირობებში სიმინდისთვის ნიადაგი იხვნება ცალკეული ზონისთვის რეკომენდებული წესით,ნიადაგის თვისებების,წინამორბედი კულტურის თავისებურებების და ნიადაგის დაცვის ღონისძიებების გათვალისწინებით შემდეგ ვადებში: კოლხეთის დაბლობის შემაღლებულ ნაწილში შემოდგომით ან ზამთარში,კოლხეთის დაბლობის ძირითად ნაწილში ზამთრის ბოლოს ან ადრე გაზაფხულზე მინდორში გასვლის პირველი შესაძლებლობისთანავე. ამავე დროს იხვნება დასავლეთ საქართველოში გავრცელებული ეწერი და ეროზიასაშიში ნიადაგები. ალუვიური ნიადაგები უნდა მოიხნას 25-27სმ. სიღრმეზე,ხოლო ეწერი და მცირე სიღრმის ნიადაგები ჰუმუსოვანი ფენის მთელ სიღრმეზე,ბელტის გადაუბრუნებლად და სახნავი ფენის თანდათან დაღრმავებით. | თებერვალი, მარტი,აპრილი |
| 3 | ნიადაგის თესვისთვის მომზადება ტარდება დიფერენცირებულად,ხნულის მდგომარეობის გათვალისწინებით. ბელტიანი ხნული შეშრობისთანავე უნდა დამუშავდეს (დაიჭრას) მძიმე დისკოებიანი ფარცხით მცირე ზომის ბელტებად, რომლებიც ადვილად შრება და მცირე ნალექის ზემოქმედებითაც კი მთლიანად სველდება და გაშრობის შემდეგ ადვილად ფხვიერდება. ნიადაგის დაჯდომის შემთხვევაში გაზაფხულზე საჭიროა ხნულის აოშვა საოში გუთნით 12-15სმ სიღრმეზე და შემდეგ კულტივაცია. თესვის წინ ხნულის ზედაპირის მდგომარეობის გათვალისწინებით ნიადაგი უნდა დამუშავდეს მძიმე დისკოებიანი ფარცხით ზიგ-ზაგთან ერთად ან დაიფრეზოს. | აპრილი |
| 4 | თესვა უნდა ჩატარდეს 75სმ მწკრივთაშორისებით. მწკრივებს შორის მანძილის გაზრდით იზრდება გარე ეფექტი და მცირდება სატრაქტორო სამუშაოების ჩატარების დროს ტექნიკის მოძრაობით გამოწვეული ნათესის დაზიანების პროცენტი. ორივე ჰიბრიდისათვის დგომის ოპტიმალური სიხშირეა,როცა მოსავლის აღების დროს შენარჩუნებულია 50-55ათასი მცენარე ჰექტარზე. ამ სიხშირის მისაღწევად ერთ ჰა-ზე უნდა დაითესოს 72-75ათასი მარცვალი. თესვის დროს მწკრივებში მარცვლებს შორის მანძილი უნდა იყოს 18-19 სმ. თესვასთან ერთად ნიადაგში უნდა შევიტანოთ 100 კგ. ამონიუმის გვარჯილა. ნიადაგის მავნებლებისაგან (მახრა,მავთულა ჭია და სხვ.)ნათესის დაზიანების საშიშროების შემთხვევაში თესვასთან ერთად ასევე საჭიროა ინსექტიციდ რეგენტის (4-5კგ/ჰა) შეტანა მიკროგრანულატორის საშუალებით. თუ რეგენტი ვერ შევიტანეთ,მათში უნდა დაითესოს ინსექტიციდ ნუპრიდით დამუშავებული თესლი. 1 ტონა თესლის დასამუშავებლად საჭიროა 4-5ლიტრი პრეპარატი,რომელიც უნდა გაიხსნას იმდენ წყალში,რომ სამუშაო ხსნარის რაოდენობამ შეადგინოს 10 ლიტრი. | აპრილი,15მაისი |
| 5 | ჰერბიციდების (ნიკოში- 1.0-1.5ლ/ჰა; ჰექტორმაქსი-0.5-0.6ლ/ჰა; ნიკოფურონი-1.0-1.5ლ/ჰა; სტელარი-1.0-1.2 ლ/ჰა; მაისი,ტიტუსი 50გრ/ჰა ან სხვ.)შეტანა სიმინდის მცენარის 3-5ფოთლის ფაზაში. ფართოფოთლიანი სარეველების წინააღმდეგ აღნიშნულ ჰერბიციდებს უნდა დაემატოს 1ლ/ჰა დიამინი ან ამინის მარილი. შესხურებიდან ერთი კვირის განმავლობაში ნიადაგის დამუშავება დაუშვებელია. | მაისი,ივნისი |
| 6 | მიკროელემენტების შემცველი სასუქების (ამკოლონი,კრისტალონი,ნუტრივანტი, აგროვიტა 2-3 კგ/ჰა-ზე) შესხურება ჰერბიციდთან ერთად. მათი გამოყენება ეფექტურია ჰერბიციდების გარეშეც ვეგეტაციის პერიოდში 2-3 ჯერ 2-2 კვირის ინტერვალით. ეს სასუქები ზრდის ჰერბიციდის ეფექტიანობას,ხსნის ჰერბიციდისაგან გამოწვეულ სტრესს და ახდენს მცენარის ფოთლოვან გამოკვებას დაბალანსებული მიკრო და მაკროელემენტებით. | მაისი,ივნისი |
| 7 | ნათესის პირველი კულტივაცია ამონიუმის გვარჯილის (200კგ/ჰა) შეტანასთან ერთად მცენარის 3-5ფოთლის ფაზაში | მაისი,ივნისი |
| 8 | ნათესის მეორე კულტივაცია პირველი კულტივაციიდან 12-14 დღის შემდეგ ამონიუმის გვარჯილის შეტანასთან ერთად (200კგ.გვარჯილა ჰა-ზე) | ივნისი |
| 9 | საჭიროების შემთხვევაში მავნებლების (ფარვანა,ხვატარები და სხვ.) წინააღმდეგ ინსექტიციდის (ფასტაკი,შეპრა,დეცისი,ან სხვა 200მლ/ჰა-ზე) შესხურება მავნებლების გამოჩენისთანავე. | ივნისი |
| 10 | მარცვლის მოსავლის აღება | სექტემბერი |
| 11 | მარცვლის გაშრობა სპეციალურ საშრობში | სექტემბერი |

## ჯანმრთელობა და სილამაზე

# სიმინდი

**სიმინდის შეიცავს 75% ნახშირწყლებს, ვიტამინებს B1, B2, PP, კაროტინს, იგი განსაკუთრებით რეკომენდირებულია ხანდაზმულ ადამიანებში. სიმინდი შეიცავს ასკორბინის მჟავას, ეთერზეთებს, მწარე გლიკოზიდებს, ალკალოიდებს. სიმინდი ამცირებს სისხლის სიბლანტეს და ბილირუბინის დონეს, აწესრიგებს სისხლის შედედების დარღვევებს, იგი გამოიყენება ქოლეცისტიტის, ქოლანგიტი, ჰეპატიტის დროს, კარგი შარდმდენია და თირკმელებში ქვებს შლის. სიმინდის ზეთი რეკომენდირებულია ათეროსკლეროზის, ქოლესტერინის მაღალი დონის დროს. პოლონეთში, სიმინდის ზეთით აქტიურად მკურნალობენ ღვიძლის დაავადებებს.**

**ბულგარეთის მედიცინის მესვეურნი სიმინდს იყენებენ ღვიძლის, თირკმლის, დიაბეტის სამკურნალოდ. ბულგარეთის ხალხურ მედიცინაში იგი გამოიყენება წონის დასაკლებად.**

**სიმინდის 100 გრ. პროდუქტი შეიცავს:**

წყალი, 14 გ
ცილის, 10.3 გ
ქონი, 4.9 გ
ნახშირწყლები, 67.5 გ
ბოჭკოვანა, 2.1 გ
სახამებელი, 56.9 გ
ნაცარი, 1.2 გ
კალიუმი, 340 მგ
კალციუმი, 34 მგ
მაგნიუმი, 104 მგ
ნატრიუმი, 27 მგ

ფოსფორი, 301 მგ
რკინა, 3700 მგ
იოდი, 5.2 მგ
კობალტი, 5.3 მგ
მანგანუმი, 1090 სუ
სპილენძი, 290 მგ
მოლიბდენი, 4,28 გ
ფტორი, 64 მგ
თუთია, 1730 მგ
ვიტამინი B-კაროტინი, 0.32 მგ

ვიტამინი E (ტოკოფეროლი), 5.5 მგ
ვიტამინი B1 (თიამინი), 0.38 მგ
ვიტამინი B2 (რიბოფლავინი), 0.14 მგ
ვიტამინი B9 (ფოლიუმის მჟავა), 26 მგ
ვიტამინი PP (ნიაცინი, ნიკოტინის მჟავა), 2.1 მგ
კალორია, 325 კალორია

# კვირაძალის წასაკითხი

## კნუტ ჰამსუნი

# ზღაპრული ქვეყანა

კნუტ ჰამსუნი მსოფლიო ლიტერატურის ბრწყინვალე წარმომადგენელი, ავტორი ყველასთვის ნაცნობი ნაწარმოებებისა „მისტერიები“, „შიმშილი“, „პანი“, „ვიქტორია“, „მიწის მადლი“, ვისზედაც თომას მანმა თქვა: „არასოდეს მიუნიჭებიათ ნობელის პრემია სხვა, ვინმე უფრო ღირსეულისთვის, ვიდრე კნუტ ჰამსუნია“ დაიბადა 1859 წლის 4 აგვისტოს. ჩრდილოეთ ნორვეგიაში, სოფელ ჰამსუნდში ხელმოკლე გლეხის ოჯახში. ჰამსუნი მისი ფსევდონიმია, მწერალმა იგი აიღო სოფელ ჰამსუნდის სახელწოდებიდან. მწერლის ნამდვილი გვარია პედერსენი. ახალგაზრდა მწერალი ბედის საძებრად 1881 წელს მიემგზავრება ამერიკაში, სადაც ლუკმაპურის ძიებაში არაერთ პროფესიას იცვლის – იყო მტვირთავი, მიწისმთხრელი, ქვისმთლელი და სხვ. მოიარა ევროპის ქვეყნები, მეორედ მიემგზავრება ამერიკაში და 1886 წელს საბოლოოდ



ბრუნდება სამშობლოში. 1918 წელს სამუდამოდ მკვიდრდება დაბა ნორჰოლდში. სადაც გარდაიცვალა კიდეც 1952 წლის 19 ნოემბერს.

1920 წელი განსაკუთრებით წარმატებული აღმოჩნდა ნორვეგიელი მწერლისთვის. ნობელის კომიტეტის გადაწყვეტილებით კნუტ ჰამსუნს ნობელის პრემია მიენიჭა.

კნუტ ჰამსუნის ნაწარმოებები ძალიან პოპულარული იყო რუსეთსა და საქართველოში. მაგრამ მას შემდეგ, რაც მწერალმა ღიად გამოხატა ნაციზმისადმი (ფაშისტური გემანიისადმი) მხარდაჭერა, ჰამსუნის სახელსა და დიად წიგნებს საბჭოთა კავშირში ჩრდილი მიადგა და აიკრძალა. ფაშისტური გერმანიის დამარცხების მიუხედავად კნუტ ჰამსუნი ჰიტლერის ერთგული დარჩა. იგი სამშობლოს მოღალატედ იქნა აღიარებული და გასამართლებული. დიდი მწერალი ასაკმა იხსნა სამარცხვინო პატიმრობისგან.

დიდ ქართველ რეჟისორ კოტე მარჯანიშვილსა და ჰამსუნს პირადი და შემოქმედებითი ურთიერთობა აკავშირებდათ. ასევე ძალიან საინტერესოა ლადო ჯაფარიძის მოგონება კნუტ ჰამსუნზე: „1935 წელს გრიშამ (გრიგოლ ჯაფარიძე – ცნობილი ლიტერატორი) ხელი მოჰკიდა ჰამსუნის ერთ ერთი შედევრის „პან“-ის ქართულ ენაზე თარგმნას. ამასთან დაკავშირებით, ბოლოს და ბოლოს, გადაწყვიტა წერილი გაეგზავნა საყვარელი მწერლისათვის, რათა ახლა მაინც აესრულებინა თავისი დიდი ხნის სურვილი და მისწერა კიდეც.

გრიშამ მის მიერ რუსულად დაწერილი ბარათი თავის ერთ უნივერსიტეტელ მეგობარს გადაათარგმნინა გერმანულ ენაზე, მერე ლამაზი ხელით სუფთად გადაწერა და ფრთხილად ჩადო კონვერტში. წერილს თან „ვეფხისტყაოსნის“ ახალი ეგზემპლარი დაურთო და ნორვეგიაში გაგზავნა.

გრიშას წერილი ასეთი იყო: „ულრმესად პატივცემულო დიდო ხელოვანო ბატონო ჰამსუნ! თითქმის ყოველდღე მიხდება მე იმ სასტუმრო „ლონდონის“ წინ გავლა, რომელშიც თქვენ გაგიტარებიათ რამდენიმე დღე თბილისში ყოფნის დროს და ყოველი გავლისას ცხოვლად წარმომიდგება ხოლმე თვალწინ მომენტები თქვენი დაუვიწყარი მხატვრული პერსონაჟების ცხოვრებიდან; ამ დროს მე ხშირად მეუფლება ხოლმე სურვილი გამოგეხმაუროთ აქედან და მოგაწოდოთ ჩემი უგულითადესი, გულიდან ამოღებული სალამი, დიდო ჰამსუნ – საყვარელთა შორის უსაყვარლესო პოეტო. მინდა გაგახსენოთ თბილისი და საზოგადოდ საქართველო, რომელსაც თქვენ ჯერ კიდევ იმ დროს უყვარდით, როცა მისი ცის ქვეშ დაიარებოდით შორეული ნორვეგიიდან ჩამოსული ახალგაზრდა სტუმარი. გულწრფელი სიყვარულის ნიშნად ამ წერილთან ერთად საჩუქრად გიგზავნით ქართველი კაცისათვის ყველაზე უფრო საყვარელ წიგნს – XII საუკუნის დიდი ქართველი პოეტის – რუსთაველის პოემას. დავიწყე თქვენი რომანის „პან“-ის თარგმნა და ვითხოვ თქვენს ნებართვას ამ რომანისა და სხვა თქვენი ნაწერების თარგმნაზე, რომელთა შესრულება უახლოეს მომავალში მაქვს განზრახული. თქვენი რამდენიმე ნაწარმოები ახმაურდება საქართველოში, როგორც თქვენი პოეზიის ულამაზესი ნაწყვეტი და უძვირფასესი რელიქვია, აგრეთვე, როგორც თქვენი სალამი ჩვენს ძველ რაინდს – რუსთაველს, რომელიც საუკუნეებით დაშორებულია ჩვენგან. მინდა მჯეროდეს, რომ მე და ჩემს მეგობრებს გვეღირსება სახსოვრად მივიღოთ თქვენი რომელიმე წიგნი ან პორტრეტი. მე მას წავიღებ სასტუმრო „ლონდონში“ ან მოპირდაპირე ბაღში და გავახსენებ ოდესღაც თქვენი იქ ყოფნის დღეებს. იცოცხლეთ დიდხანს და იყავით ჯანმრთელად, დიდო ჰამსუნ, და იმ მრავალმილიონიან თქვენს მკითხველთა შორის, რომელთაც უყვარხართ და ეყვარებით მუდამ მომავალშიც, საუკუნეების მანძილზე, გთხოვთ მიგულოთ მეც – თქვენი ერთგული პატივისმცემელი გრიგოლ ჯაფარიძე, რომელიც მოელის თქვენგან ჩემი წერილისა და წიგნის მიღების რაიმე დამადასტურებელ ნიშანს. კავკასია. თბილისი. ორბელიანის ქუჩა, 36. 1935 წლის ნოემბერი.“

მალე გრიშამ ნორვეგიიდან ერთი მოზრდილი კონვერტი მიიღო და გულის ფანცქალით გახსნა. იგი მადლობის აღმნიშვნელი ოფიციალური წერილი ეგონა, როგორიც იციან ხოლმე დიდმა ადამიანებმა ასეთ შემთხვევაში, – და რა გახარებული და ფრთაშესხმული იყო, როცა კონვერტში მწერლის პორტრეტი აღმოჩნდა მისივე ავტოგრაფით. ეს იყო კნუტ ჰამსუნის მიერ გერმანულ ენაზე დაწერილი და მარგალიტის მძივებად ასხმული სიტყვები: „გრიგოლ ჯაფარიძეს მადლობით მისი უთავაზიანესი წერილისათვის, ნორჰელმი, 16 დეკემბერი, 1935, კნუტ ჰამსუნი“...

შორეული ქვეყნიდან მიღებული ძვირფასი ნობათი გრიშამ თავისი სურვილების კეთილ დაგვირგვინებად მიიჩნია. გრიშას მიერ კნუტ ჰამსუნთან გაგზავნილი წერილი და „ვეფხისტყაოსანი“, ალბათ, გამოფენილი იქნება მწერლის მემორიალურ მუზეუმში ნორვეგიაში“. საქართველოში სტუმრად არაერთი ცნობილი მწერალი ჩამოსულა, მათ შორის ნობელიანტებიც, მაგრამ ჰამსუნის ბადალი არცერთი. საქართველოზე და ქართველებზე ბევრ უცხოელს დაუწერია, მაგრამ დიდი მწერლის ჩანაწერები ერთიორად ფასეულია.

კნუტ ჰამსუნი რუსეთის გავლით შემოვიდა საქართველოში (იმყოფებოდა თბილისში, მცხეთასა და ბათუმში). მოგზაურობისას მიღებული შთაბეჭდილებების შედეგად შექმნა ორი ნაწარმოები – „ზღაპრული ქვეყანა“ და „დედოფალი თამარი“. ორივე ნაწარმოები 1903 წელს დანიასა და გერმანიაში გამოიცა.

„ზღაპრული ქვეყანა“ უცნაური ფორმისა და შინაარსის ნაწარმოებია, შეუძლებელია, იგი კონკრეტულ ჟანრს ან თემატიკას მივაკუთვნოთ. იგი დაუსრულებლად იშლება დროსა და სივრცეში: ერთმანეთს ერწყმის სათავგადასავლო, დეტექტიური, ავტობიოგრაფიული, ეთნოგრაფიული, ლიტერატურული ხაზი, რეალობა და ზღაპარი; ტურისტული ჩანაწერებისა და დღიურის „სქემატურ“ სტილს, არასრულ აღწერებს, მწერლის მოგონებები, ღრმა დაკვირვებები და უზადო ლირიზმი, პირადი განცდების, განწყობათა კონტრასტული გამა ენაცვლება. ყოველივე ეს ნაწარმოების წყვეტილ, იმპრესიონისტულ და კინემატოგრაფიულ სტილს განაპირობებს“ (ო. ჟღენტი. წინასიტყვაობა წიგნიდან: კ. ჰამსუნი, „განცდილი და ნაფიქრალი კავკასიაში“). კავკასიაში გამგზავრებამდე ჰამსუნი უამრავ მასალას გაცნობია ამ მხარის შესახებ. „სექტემბრის დამდეგია და აი, პეტერბურგში ვართ. გადავწყვიტე ვისარგებლო მთავრობის სტიპენდიით და კავკასიაში გავემგზავროთ (ჰამსუნი მეუღლე ბერგლოტ ბეხისთან ერთად მოგზაურობდა. ლ.ღ.), იქიდან სპარსეთსა და თურქეთში. ჩამოვედით ფინეთიდან, სადაც მთელი წელიწადი დავყავით“. ასე იწყება კნუტ ჰამსუნის ოდისეა. მწერალი აღფრთოვანებულია საქართველოს ბუნების მშვენიერებით „ვუყურებ ყაზბეგს, თავბრუ მეხვევა, თითქოს მოვწყდი მიწას, თითქოს მოვწყდი მიწას, თითქოს გრიგალმა ამიტაცა, წავედი მაღლა-მაღლა და ღმერთის პირისპირ აღმოვჩნდი“; „კავკასია, კავკასია! ტყუილად როდი ჩამოდიოდნენ აქ დიდი პოეტები. რუსი პოეტები ჩამოდიოდნენ შენთან და ეწაფებოდნენ შენს ცხოველმყოფელ წყაროს“. „ჩვენ თბილისს ვუახლოვდებით, გზა მდინარე მტკვრის ნაპირს მიჰყვება, მტკვარი კი დიდებული და ლამაზი მდინარეა“. „ეს ქვეყანა არც ერთ სხვა ქვეყანას არა ჰგავს, რომელსაც მე ვიცნობ, და იმ გრძნობით ვარ შეპყრობილი, რომ მთელი სიცოცხლე სიამოვნებით ვიცხოვრებდი აქ“. ჰამსუნი თბილისში ინკოგნიტოდ ჩამოვიდა და დაბინავდა სასტუმრო „ლონდონში“ XX საუკუნის 90-იან წლებში, იგი არც ერთ თბილისელ ინტელიგენტს არ გასცნობია. მისთვის უცნობი დარჩნენ ჩვენი დედაქალაქის ინტელექტუალური ელიტის წარმომადგენელნი. სასტუმრო “ლონდონიდან” დროდადრო გასული მწერალი თბილისის ქუჩებში დახეტიალობდა. “იარმუკა”, “მაიდანი”, ორთაჭალის ბაღები, მეჩეთი, ნარიყალა... “ქალაქს ვათვალიერებდით. მეგზურად არც მოლაყბე შვეიცარი წამოგვიყვანია და არც არავინ. ქალაქის ერთმა უბანმა ისე მოგვხიბლა, რომ მრავალჯერ ვეწვიეთ – ეს აზიური უბანია. ტფილისში არის სარკიანი ვიტრინები, კონკები, თეატრი-ვარიეტე, ბატონები და ქალბატონები, ევროპულად ჩაცმულ-დახურულნი, მაგრამ აზიური უბანი სხვა არის, აქაურ ქუჩებს, კაცმა რომ თქვას, ქუჩებს ვერ დაარქმევ: შესახვევი, ჩიხი, კიბე, ესაა და ეს“ წერს თბილისის შესახებ ჰამსუნი. ჰამსუნისთვის თბილისი, მასში დასავლური კულტურის ელემენტების არსებობის მიუხედავად, მაინც აზიური ქალაქია. მწერალი საუბრობს საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობაზე, წარსულზე, დღევანდელობაზე, ისტორიულ ძეგლებზე, მთაწმინდაზე, მამა დავითის ეკლესიაზე, გრიბოედოვის ძეგლზე ... რასაც ლოგიკურად მოსდევს ძალიან საინტერესო თხრობა რუსული ლიტერატურის კლასიკოსებზე: ტურგენევზე, დოსტოევსკიზე, ტოლსტოიზე. ცნობილი ფაქტია, რომ ჰამსუნი არ ეპუებოდა დიდი მწერლების ავტორიტეტს და მათ შემოქმედებას „კრიტიკული თვალით“ უყურებდა. „რუსული ლიტერატურა საზოგადოდ უსაზღვრო და მრავალფეროვანია...ტურგენევის გმირები რბილი ხასიათის და მეტად სწორხაზოვანნი არიან, მთლად რუსებივით არ იქცევიან... ტურგენევი დიდი მოაზროვნე არ იყო, მაგრამ მკერდში კეთილი გული უძგერდა... როცა დოსტოევსკი ფილოსოფოსობას იწყებს, როგორც, მაგალითად, „ძმებ კარამაზოვებში“, თავ-გზას გიბნევს, ბევრს ლაპარაკობს და ყველაფერს ერთად ახვავებს. როცა თავის სტილს უბრუნდება, კვლავ შეუდარებელი ხდება...მე დარწმუნებული ვარ, რომ ტოლსტოის ფილოსოფიაზე უსუსური ფილოსოფიის მოძიება, ფრიად ძნელი საქმეა“. რატომ უნდა წავიკითხოთ ჰამსუნი? პირველი, ის ნობელიანტი მწერალია; მეორე – ჩვენს ქვეყანაში იყო და მასზე წიგნები დაწერა და მესამე, კნუტ ჰამსუნმა მისი უკვდავი ნაწარმოებების სახით დაგვიტოვა ფასდაუდებელი საგანძური, რომლის არ წაკითხვაც დანაშაულია, ხოლო წაკითხვა სასჯელი.

# გაიოზ (გოგი) ბუკია

სულთათანა



ჩემო გოგი!

გუშინდელივით მახსოვს ის საზარელი დღე, შენი გარდაცვალების ამბავი რომ გავიგე, მას შემდეგ ჭრილობა ღიაა ჩემს გულში, საიდანაც წვეთ-წვეთად ჟონავს ჩვენი დედაშვილური სიყვარულით გაპატიოსნებული სისხლი.

ჩემო გოგი, ძვირფასო, მინდა ისე გელაპარაკო, როგორც ცოცხალს. აი, ამ წუთში როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თითქოს ჩემს გვერდით დგახარ–მაღალი, თხელი წაბლისფერი თმითა და თვალებით, სახენათელი, ღიმილიანი, სიკეთითა და სიყვარულით სავსე. მიცქერ და ვგრძნობ, გონებაში როგორ თხზავ ახალ სხარტულა აზრს, რომ შენებურად მომეფერო, მომესიყვარულო, გამახარო! შენი ჯანსაღი და ნიჭიერი იუმორი, ხომ ცნობილია მთელ საქართველოში!

მახსოვს და არც არასდროს დამავიწყდება ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა: ტრანსპორტის მოლოდინში გაჩერებაზე ვიდექი. ჩუმად მომიახლოვდი, საკმაოდ მძიმე ჩანთა ჩამომართვი, მერე მსუბუქი მანქანა მოიყვანე, ჩამსვი და შინ გამამგზავრე. თვალები დაგიკოცნე საყვარელ ადამიანს. ჩვენი ბოლო შეხვედრიდან ერთი კვირის თავზე შენ აღარ იყავი ჩვენს შორის. ეს უმძიმესი უბედურება იყო ჩვენი ოჯახისთვის.

შენ ჩვენი ოჯახის სიძე ხარ. სამეგრელოში არსებობს ასეთი ანდაზა: ოჯახში სიძე რომ შემოდის, კედლებიც იცინიანო. ასე ხდებოდა ჩვენს ოჯახშიც.

ახლა, როცა შინ წასასვლელად ვემზადები და ქალაქის ცენტრში სამარშრუტო ავტობუსს ველოდები, თვალებით გეძებ, ხან ვის გამსგავსებ, ხან ვინ მგონიხარ. ეს გარეგნულ მსგავსებაზე ვამბობ, რათქმაუნდა. პიროვნულად კი შენი ნიჭიერებით, კეთილშობილებით, ზნეობით, ინტელექტით, ცხოვრების წესით არავის ჰგავდი, არავინ იყო შენი მსგავსი, ვისაც ღმერთმა ასე უხვად უბოძა ყველაფერი, რაც ადამიანს სხვათაგან გამოარჩევს.

ჩემი დაბადების 80-ე წლის თავზე ნაავადმყოფარი იყავი, მაინც მოხვედი, მომილოცე–მინდოდა თამადა ყოფილიყავი მაგრამ... შენ ვინ შეგედრებოდა ამ საქმეში, სიტყვაკაზმულობაში. შენთან ყოველი შეხვედრა ერთი წიგნის წაკითხვას უდრიდა, გოგი! რამდენი ლექსი იცოდი?! დაიწყებდი „გალობანი სინანულისანით,“ გაიხსენებდი თეიმურაზ პირველის ლექსებს, თვალდახუჭული, გრძნობით სავსე კითხულობდი ბესიკის „ტანო-ტატანოს“, ალექსანდრე ჭავჭავაძის „სიყვარულო ძალსა შენსას“, დავით გურამიშვილის სტრიქონებს „დიდება მოთმინებასა შენსა უფალო იესო“. ძალიან გიყვარდა ნიკოლოზ ბარათაშვილის „საყურე“, შენს სტიქიაში იყავი, როცა გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ კითხულობდი, როცა ილიას სტრიქონებს იმეორებდი:

*„მაგრამ მამულო, ჩემი დარდი*
*მხოლოდ ის არი,*
*ის არის მხოლოდ სავალალო და*
*სამწუხარო,*
*რომ შენს მიწაზე ამდენ ხალხში*
*კაცი ვერ ვპოვე,*
*რომ ფიქრი ვანდო, გრძნობა ჩემი*
*გავუზიარო“.*

მე–20 საუკუნის პოეზიით ცოცხლობდი, როგორც შემხვდებოდი, შემომაგებებდი კონსტანტინე გამსახურდიას ლექსს „ზღვისფერი გაქვს თვალები და თავად გავხარ ზღვას!“ იცოდი, მეც ძალიან მიყვარდა იგი. მაგიდაზე გედო შოთა ნიშნიანიძის „სიმღერა სამეგრელოზე“–„შენ სულ სხვა ხარო, ნანა!“ მუხრანის „არა! სხვისი მისაბაძი, რა მჭირს თვარა კი!“ ჯანსუღის „მევალისათვის მიმაცემინე ვალი“... ანა კალანდაძის „სხვა საქართველო სად არის,“ რომელი ერთი მოვიგონო. შენ ოკეანე ხარ, უკიდეგანო, დაუშრობელი, ქარიშხალი ხარ მოუთოკავი, დაუმორჩილებელი ამ ოკეანის ზედაპირზე მოთარეშე!

ერთი შენი წინასწარმეტყველებაც უნდა მოგაგონო. ერთხელ ვაჟა ეგრისელის შესახებ მითხარი–მომავალი პოეტი–აკადემიკოსიაო! ახდა შენი წინასწარმეტყველება, გილოცავ შენცა და მთელ საქართველოს, საქართველოს მწერალთა კავშირმა ბატონ ვაჟას „პოეზიის რაინდის“ წოდება უბოძა. ერთი საიდუმლოც უნდა გავამხილო, გაბრაზებული იყავი მურმან ლებანიძეზე–როგორ გვითხრა–„მიჯღარკ-მოჯღარკეთ ქართული სიტყვაო!“

შენი სამაგიდო წიგნი, საიდანაც როგორც თვითონ ამბობ, „მარგალიტებს კრეფდი“ „ვეფხისტყაოსანი“ იყო. ეთაყვანებოდი კაკა ჟვანიას, ვინც მეგრულად თარგმნა ეს შედევრი: „სახელიანი ღურა უჯგუ, ლაფგეწუმილ სიცოცხლესუ!“ რითი არისო ეს სტრიქონები ნაკლები ამათზე „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი“.

ჩემო გოგია, უშენოდ დარჩენილი შენი ოჯახი, მეუღლე–ჭეშმარიტად დიდებული ქალბატონი ნანი, შენი ალი-კვალი გიორგი თავისი მშვენიერი ოჯახით, ღირსეულად აგრძელებენ შენს მიერ დანერგილ ტრადიციებს, თვალისჩინივით უფრთხილდებიან შენს სახელს. მშვიდად იყავი ზეციურ საქართველოში, ღმერთთან ახლოს! გჯეროდეს, არასოდეს დაავიწყდები მათ, ვისაც ერთხელ მაინც შეხვედრიხარ აქ, ამ მიწაზე.

ჩემო გოგი, შენ ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ქრისტიანი ხარ! წარმოდგენილი მაქვს, როგორ ხარობს შენი კეთილშობილი სული იმით, რაც ჩვენში მოხდა. სამონასტრო კომპლექსისა და სრულიად ქართველთა მწყემსმთავრის, უწმიდესისა და უნეტარესის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის რეზიდენციის გახსნა, ჭეშმარიტად საუკუნის უმნიშვნელოვანესი მოვლენაა. გილოცავ შენ და ქართველ ერს, მთელ საქრისტიანოს ღვთის ამ გასაოცარ ჯილდოს და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ შენს ძმა გოდერძის. ყველას, ვინც ამ ტაძრის მშენებლობაში მონაწილეობდა.

გიხაროდეთ მეგობრებო, თანამოქალაქენო, მეზობლებო, მთლიანად საქართველოვ!

კიდევ ერთხელ გილოცავ, ჩემო გოგი, ამ ჭეშმარიტად დიდებულ მოვლენას!

*შენ გაგიმარჯოს, როგორც*
*ცოცხალს, ჩემო გოგია,*
*შენს კვალზე შენი შვილიშვილნი*
*უკვე მოდიან!*
*შენი გონების სიდიადე ზეცამდე*
*ადის,*
*ჩვენც იქ ამოვალთ თავის დროზე*
*აბა, ნახვამდის!*

**შენი მერი დეიდა (აბრამია)**

---

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა თანაუგრძნობენ საკრებულოს დეპუტატ ვლადიმერ სერგიას ძმის

**გია სერგიას**

გარდაცვალების გამო.



## „ქალი მშვენება უცნაური, ცას გამოკიდებული ქვეყანა...“

*ენვერ სალაყაია*

ციციფერში ცრემლნარევი ღიმილით,
ადრიანი გაზაფხული ფეთქავს.
შენს საფლავზე ია ხარობს კვდემით,
მზიურფასო და საყვარელო დედავ!
უამესო აქ იმიტომ მოვედ
დრო და ჟამი შენი სითბო მეგრძნო
დედი, იქნებ გაზაფხულის ხმებში
შენი ხმების გაგონებაც შევძლო
იქნებ წამში გაზაფხულის სუნთქვამ
გააცოცხლოს შორეული წლები,
მინდა ზეცას მზის სხივებით ნაქარგს,
ღიმილიც რომ გამოვცაცო შენი,
კვირცემდამსკდარ ციციფების ცოცებს
ვეფერები და ვიხუცებ გულთან
წამში ვებებ საუკუნის ღიმილს
უკვდავება მინაწილებს სუნთქვას,
მეხლს ვიცრი და ვეფერები იას,
ია-იაც მეფერება კდემით
შენს საფლავთან ამოსული ცურფა.
სიყვარულის ცკივილია ჩემი,
თრთოლვით ვუმზერ მზის სხივების ლივლივს,
თითქოს დედა, წამოდექ და მიმზერ,
ვით ფარჩებში მწვანე მოლში ვწვები,
შენ უამეს იავნანას მიმღერ,
თვალს მივლულავ, საყვარელო, წამით,
თითქოს ჩვილ ბავშვს აკვანს მირწევ ახლაც,
და ხმამაღლა ავცირდები ისე,
თითქოს ჩვილი ბავშვი ვიყო მართლაც.
ციციფერში ცრემლნარევი ღიმი,
გულში ქვეყნის უსაზღვრებო სევდა,
შენ კი სულით დაობლებულ მოხუცს
რა ბავშვივით მეფერები, დედა!

## დედა

*ლალი ჭედია*

დედა, ეს სიცყვა სიყვარულია,
დედა, სიცოცხლის დასაწყისია.
რაც კი უთქვამთ და დაუწერიათ,
მხოლოდ მის სულში აღუწერიათ,
დედა, ყველაზე საოცარია,
დედა, ყველასთვის სანაცრელია,
დედა, სიცოცხლის ნათლის სვეცია,
ყველა ცკივილის მკურნალია და
ყველა ოცნების ფრთის შემსხმელია,
მის ხაცებაში ზღვის სურნელია,
დედა, ეს სიცყვა სიყვარულია,
დედა, სიცოცხლის დასაწყისია.

## ეკონომიკა

# მათთვის, ვისი წლიური სახელფასო სარგო 6 ათას ლარს არ აღემატება

აღნიშნული ინიციატივა ფინანსთა სამინისტროს ეკუთვნის, რომლის თანახმადაც, იმ მოქალაქეებს, რომელთა დარიცხული შემოსავალი 2013 წელს 6000 ლარს არ აღემატებოდა, მაქსიმუმ 360 ლარი უკან დაუბრუნდებათ.

ხელისუფლების ეს ინიციატავა დაახლოებით 600 000-მდე დაბალშემოსავლიანი გადამხდელის მხარდაჭერას ითვალისწინებს.

დაუბეგრავი მინიმუმის დასაბრუნებლად მოქალაქე შემოსავლების სამსახურის ვებგვერდზე www.rs.ge განთავსებულ შესაბამის ფორმაში, მხოლოდ პირადი ნომრისა და თავისი საბანკო რეკვიზიტის მითითებით, ავსებს ელექტრონულ დეკლარაციას და აქვე იღებს ინფორმაციას მისთვის დასაბრუნებელი თანხის ოდენობის შესახებ. კანონის შესაბამისად, დეკლარაციების შევსება დაიწყება 1 აპრილიდან. შესაბამისად, აღნიშნული ფორმა ვებ-გვერდზე 1 აპრილიდან გააქტიურდება.

დეკლარაციის შევსება შესაძლებელია როგორც სახლიდან გაუსვლელად, ინტერნეტის საშუალებით, ასევე, საბანკო დაწესებულებაში.

გაფორმებული მემორანდუმით, მოქალაქეებს შეუძლიათ ისარგებლონ შემდეგი ბანკების მომსახურებით: სს ბანკი „რესპუბლიკა“; სს „პრივატბანკი“; სს „თიბისი ბანკი“; სს „საქართველოს ბანკი“; სს „ლიბერთი ბანკი“; სს „ბაზისბანკი“; სს „ქართუ ბანკი“; სს „კორსტანდარტ ბანკი“; სს „ბანკი კონსტანტა“; სს „ფინკა ბანკი საქართველო“. ელექტრონული



დეკლარაციის წარდგენის შემდეგ, მოქალაქეს, მის მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე, დაუბეგრავი მინიმუმის შესაბამისი თანხა დაუბრუნდება.

დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია შემოსავლების სამსახურის სატელეფონო ცენტრის მეშვეობით: 2 299 299 ან შეტყობინების გაგზავნის საფუძველზე შემდეგ მისამართზე: ინფო rs.ge; www.rs.ge

## ფეხბურთი–2014 კალენდარი

# პირველი ლიგის კალენდარი ხობის „კოლხეთის“ მონაწილეობით მეორე წრე ბ ზონა

**16 ტური**
13 მარტი, ხუთშაბათი
სულორი–სტუ
კოლხეთი (ხ)–სამგურალი
დილა2–დინამო (ბ)
სამტრედია–ბეთლემი
სასკო–მაჭახელა
ლოკომოტივი–საბურთალო
ჭიათურა–ბახმარო

**17 ტური**
18 მარტი, სამშაბათი
ჭიათურა–ლოკომოტივი
ბახმარო–სასკო
მაჭახელა–სამტრედია
ბეთლემი–დილა 2
დინამო (ბ)–კოლხეთი (ხ)
სამგურალი–სულორი
სტუ–საბურთალო

**თასი 1/4 ფინალი**
20 მარტი, ხუთშაბათი

**18 ტური**
24 მარტი, ორშაბათი
ლოკომოტივი–სტუ
საბურთალო–სამგურალი
სულორი–დინამო (ბ)
კოლხეთი (ხ)–ბეთლემი
დილა 2–მაჭახელა
სამტრედია–ბახმარო
სასკო–ჭიათურა

**19 ტური**
28 მარტი, პარასკევი
სასკო–ლოკომოტივი
ჭიათურა–სამტრედია
ბახმარო–დილა2
მაჭახელა–კოლხეთი (ხ)
ბეთლემი–სულორი
დინამო (ბ)–საბურთალო
სამგურალი–სტუ

**20 ტური**
3 აპრილი, ხუთშაბათი
ლოკომოტივი–სამგურალი
სტუ–დინამო (ბ)
საბურთალო–ბეთლემი
სულორი–მაჭახელა
კოლხეთი (ხ)–ბახმარო
დილა 2–ჭიათურა
სამტრედია–სასკო

**თასი. ფინალი1/2**
8 აპრილი, ხუთშაბათი
სასკო–დილა 2
11 აპრილი, პარასკევი
სამტრედია–ლოკომოტივი
ჭიათურა–კოლხეთი (ხ)
ბახმარო–სულორი
მაჭახელა–საბურთალო
ბეთლემი–სტუ
დინამო (ბ)–სამგურალი

**22 ტური**
16 აპრილი, ოთხშაბათი
ლოკომოტივი–დინამო (ბ)
სამგურალი–ბეთლემი
სტუ–მაჭახელა
საბურთალო–ბახმარო
სულორი–ჭიათურა
კოლხეთი (ხ)–სასკო
დილა 2–სამტრედია
თასი.1/2 ფინალი
23 აპრილი, ოთხშაბათი

**23 ტური**
25 აპრილი, პარასკევი
ჭიათურა–საბურთალო
26 აპრილი, შაბათი
დილა 2–ლოკომოტივი
სამტრედია–კოლხეთი (ხ)
სასკო–სულორი
ბახმარო–სტუ
მაჭახელა–სამგურალი
ბეთლემი–დინამო (ბ)

**24 ტური**
1 მაისი, ხუთშაბათი
ლოკომოტივი–ბეთლემი
დინამო (ბ)–მაჭახელა
სამგურალი–ბახმარო
სტუ–ჭიათურა
საბურთალო–სასკო
სულორი–სამტრედია
კოლხეთი (ხ)–დილა2

**25 ტური**
5 მაისი, ორშაბათი
კოლხეთი (ხ)–ლოკომოტივი
დილა 2–სულორი
სამტრედია–საბურთალო
სასკო–სტუ
ჭიათურა–სამგურალი
ბახმარო–დინამო (ბ)
მაჭახელა–ბეთლემი

**26 ტური**
13 მაისი, სამშაბათი
ლოკომოტივი–მაჭახელა
ბეთლემი–ბახმარო
დინამო (ბ)–ჭიათურა
სამგურალი–სასკო
სტუ–სამტრედია
საბურთალო–დილა 2
სულორი–კოლხეთი (ხ)

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“
სარედაქციო კოლეგია:
თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა,
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.